

მოქალაქე და სამოქალაქო  
განათლება პოსტსოციალისტურ  
სახელმწიფო პროგრამი

საერთაშორისო კონფერენციის  
მასალების პრეზული

**CITIZENSHIP AND CIVIC EDUCATION  
IN POST-SOCIALIST SOCIETIES**

**INTERNATIONAL CONFERENCE PAPERS**



ეს გამოცემა შექმნილია ამერიკული ხალხის მხარდაჭერით  
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით სა-  
არჩევნო სისტემების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რო-  
მელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო  
ფონდი (IFES). მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები  
და იგი არ ასახავს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოცია-  
ციის (CELA), საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-  
ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავ-  
რობის შეხედულებებს

*This publication is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID) in the framework of the Strengthening Electoral Processes in Georgia project, implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The contents are the sole responsibility of the Civic Education Lecturers Association and do not necessarily reflect the views of IFES, USAID or the United States Government.*

## რედაქტორი: მალხაზ მაცაბერიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

## პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის  
აღმასრულებელი დირექტორი

**Editor: Dr. Malkhaz Matsaberidze**

PhD in Political Science

**Project Director: Tamar Karaia**

CELA Executive Director

©2015 CELA. ყველა უფლება დაცულია. All rights reserved.

© სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია. (CELA), 2015

გამომცემლობა „ანისალი“, 2015

თბილისი, 0179, ი. ვაჟავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-676-2

## სარჩევი

|                                                                                                                                                                                                                             |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ეკადარბაიძე</b><br>ძალის უფლებებისათვის პრემიის ისტორიიდან .....5                                                                                                                                                        |
| <b>მანანა დარჩაშვილი</b><br>აღგილობრივი თვითმმართველობის<br>რეფორმის პროექტით გამოწვეული აზრთა<br>სხავადასხვაობა საქართველოში (2013-2014 წწ.) .....16                                                                       |
| <b>სალომე დუნდუა</b><br>თანამედროვე საქართველოს სოციალური<br>მოძრაობების ზოგიერთი ასპექტი .....29                                                                                                                           |
| <b>ქეთევან კუხიანიძე</b><br>მოხალისეობა საქართველოში:<br>რეალობა და გამოწვევები .....48                                                                                                                                     |
| <b>ლია თეთრაძე, ირინე ჭუმბურიძე</b><br>პოლიტიკური პარტიების საზოგადოებასთან<br>ურთიერთობა სოციალურ ძალებში (ციხის<br>სკანდალის ასახვა ერთიანი ნაციონალური<br>მოძრაობის და ქართული ოცნების<br>Facebook-ის გვერდებზე) .....60 |
| <b>ინგა მიხანაშვილი</b><br>ასოცირების შესახებ შეთანხმება და საქართველოს<br>ეკონომიკის განვითარების პროცესში .....78                                                                                                         |
| <b>ირმა ქურდაძე</b><br>სამხედ-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი .....95                                                                                                                                                     |
| <b>Рустам Бегеулов</b><br>ОСНОВНЫЕ ТЕНДЕНЦИИ РЕСПУБЛИКАНСКОЙ<br>ОБРАЗОВАТЕЛЬНОЙ ПОЛИТИКИ В<br>КАРАЧАЕВО-ЧЕРКЕСИИ .....101                                                                                                   |
| <b>Оксана Кожевникова</b><br>ГРАЖДАНСКАЯ КОМПЕТЕНТНОСТЬ И ПРЕДСТАВЛЕНИЯ<br>РОССИЙСКИХ СТУДЕНТОВ О ДЕМОКРАТИИ .....105                                                                                                       |
| <b>Murat Aktas</b><br>GLOBALIZATION EU AND GLOBAL CITIZENSHIP .....118                                                                                                                                                      |
| <b>Lana Ghvinjilia</b><br>INFLUENCE OF VOLUNTARY EDUCATION<br>INITIATIVE ON CIVIL ENGAGEMENT IN GEORGIA .....130                                                                                                            |

## **Contents**

|                                                                                                                                                                                                   |     |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b><i>Eka Darbaidze</i></b>                                                                                                                                                                       |     |
| FROM THE HISTORY OF WOMEN'S RIGHTS MOVEMENT .....                                                                                                                                                 | 5   |
| <b><i>Manana Darchashvili</i></b>                                                                                                                                                                 |     |
| DIVERSITY OF VIEWS CAUSED BY THE LOCAL<br>SELFGOVERNANCE REFORM PROJECT IN GEORGIA<br>(2013- 2014) .....                                                                                          | 16  |
| <b><i>Salome Dundua</i></b>                                                                                                                                                                       |     |
| SOME ASPECTS OF CONTEMPORARY GEORGIA'S<br>SOCIAL MOVEMENTS.....                                                                                                                                   | 29  |
| <b><i>Ketevan Kukhianidze</i></b>                                                                                                                                                                 |     |
| VOLUNTEERING IN GEORGIA: REALITY AND CHALLENGES .....                                                                                                                                             | 48  |
| <b><i>Lia Tetradze; Irine Tchumburidze</i></b>                                                                                                                                                    |     |
| USING SOCIAL NETWORKS DURING THE 2012<br>PARLIAMENTARY ELECTIONS (DESCRIBING PRISON<br>SCANDALS FROM THE PERSPECTIVE OF<br>FACEBOOKPOSTS OF UNITED NATIONAL MOVEMENT<br>AND GEORGIAN DREAM) ..... | 60  |
| <b><i>Inga Mikhanashvili</i></b>                                                                                                                                                                  |     |
| THE ASSOCIATION AGREEMENT AND INTEGRATION<br>PROSPECTS OF GEORGIA IN EU.....                                                                                                                      | 78  |
| <b><i>Irma Kurdadze</i></b>                                                                                                                                                                       |     |
| SOME ASPECTS OF TEACHING HUMAN RIGHTS<br>PROTECTION .....                                                                                                                                         | 95  |
| <b><i>Rustam Bageulov</i></b>                                                                                                                                                                     |     |
| MAIN TENDENCIES OF THE REPUBLICAN<br>EDUCATION POLICY IN KARACHAY-CIRCASSIA .....                                                                                                                 | 101 |
| <b><i>Oksana Kozhevnikova</i></b>                                                                                                                                                                 |     |
| CIVIC COMPETENCE AND DEMOCRACY BELIEFS OF<br>RUSSIAN EDUCATION STUDENTS.....                                                                                                                      | 105 |
| <b><i>Murat Aktas</i></b>                                                                                                                                                                         |     |
| GLOBALIZATION EU AND GLOBAL CITIZENSHIP .....                                                                                                                                                     | 118 |
| <b><i>Lana Ghvinjilia</i></b>                                                                                                                                                                     |     |
| INFLUENCE OF VOLUNTARY EDUCATION INITIATIVE<br>ON CIVIL ENGAGEMENT IN GEORGIA .....                                                                                                               | 130 |

## **ეკა დარბაიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

---

### **ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიიდან**

ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც ქალებმა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიებში დაიწყეს მონაწილეობის მიღება. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან კი ქალთა აქტიურობა კიდევ უფრო გაიზარდა. თავდაპირველად ქალთა მოძრაობა ორიენტირებული იყო თანაბარი განათლებისა და საკუთრების უფლების უზრუნველყოფაზე, მოგვიანებით კი ქალთა მოძრაობამ აქცენტი პოლიტიკურ უფლებებზე გადაიტანა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა ქალთა ორგანიზაციები, როგორიც იყო: წმინდა მარიამ მაგდალინელის თავშესაფრის თბილისის საქველმოქმედო საზოგადოება, ქართული საზოგადოება განათლება, წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, ტფილისის ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, ხონის ქალთა წრე, თელავის ქალთა ერობა, სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთდახმარების ტფილისის საზოგადოება, ბორჯომისა და ქუთაისის ქალთა საზოგადოებები, გორის ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“ და ა.შ. ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალთა ორგანიზაციები საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვან და განსხვავებულ სფეროებს მოიცავდა, თუმცა უმთავრეს ამოცანად კი კვლავ ქალთა განათლება და მათი ცხოვრების გაუმჯობესება წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნეში საქართველოში ქალთა უფლებებისათვის მებრძოლ ქალთა სია საქმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება: ბარბარე ჯორჯაძე, საფო მგელაძე, ეკატერინე გაბაშვილი, მარიამ გარიყული, ეკატერინე მელიქიშვილი-მეს-

ხია და ა.შ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალთა მოძრაობის იდეის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ დროის საზოგადო მოღვაწე მამაკაცების აქტიურმა ჩართულობამაც. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები ცდილობდნენ ქართველი მკითხველისათვის წარმოეჩინათ, რომ ქალთა ფუნქციები უფრო ფართო იყო, რომ აუცილებელი იყო ქალი გასცილებოდა ოჯახს და აქტიური მონაწილეობა მიეღო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართველ ქალთა უფლებებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ პირველ მედროშედ სრულიად სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ბარბარე ჯორჯაძე (1833-1895). დღემდე განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული მისი ცნობილი წერილი „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“, რომელიც კრიტიკოსების მიერ ქართული ფემინიზმის მანიფესტად მიიჩნევა<sup>1</sup>. აღნიშნულ წერილში ბარბარე საუბრობს ქალთა დაჩაგრულ მდგომარეობაზე. ამის მთავარ მიზეზად მიაჩნია ის, რომ წლების განმავლობაში ქალებს არ ეძლეოდათ სრულფასოვანი განათლების მიღების უფლება, რათა ეღვანათ კაცების მსგავასად: „პირველიდანვე დაწყებული, ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის. ყოველი ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდენ ეს თავისი ამხანაგი ყოველი გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ჩასძახოდენ „შენ რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებისარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი, ჩუმად იყო, არავის შეჰედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშე, თვალები დახუჭე და იჯექ. ბუზმა რომ თვალები ამოგჩიჩქნოს, ხელი არ გაანძრიო, სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო<sup>2</sup>“.

ბარბარე საკმაოდ თამამი ქალი აღმოჩნდა, რადგან ქალმა, რომელსაც არასოდეს არ მიეღო განათლება და წერა-

<sup>1</sup> „ორიოდე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ“, გაზ. „კვალი“ 1893, №16 გვ.1-2

<sup>2</sup> ოქვე.

კითხვა ძიძამ შეასწავლა, გაბედა და ილია ჭავჭავაძეს შეეკა-  
მათა. ილია ჭავჭავაძე ბარბარეს უნოდებდა ქალს, რომელ-  
საც შინიდან ფეხი არ გაუდგამს, რომ მისი შემოქმედება ხე-  
ლოსნობაა და არა ხელოვნება. ასეთი ეპითეტებით მოიხსენი-  
ებდა ილია თავის წერილში: „კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსები: „ეგ  
ხელოსნობაა და არა ხელოვნება“, „თუ „ცისკარი“ უვარები-  
სია, კიდევ თქვენგან, ყვავებო, ფარშევანგის ფრთებითა,  
ბულბულებო ყორნის ჩხავილითა!“ „ეხლა რომ კაცმა ჰსნე-  
როს, ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს!..  
ეს რომ ჩვენ მწერალ ქალს არ ესმის, — ეგ გასაკვირელი არ  
არის, რადგანაც ბევრიც სხვა არ ესმის და ანბანის თეორე-  
ტიკაზედ აუშენებია თავის ხელოვნება და შინიდგან ფეხი არ  
გაუდგამს<sup>3</sup>“. „ძალიან გვიხარია, რომ ჩვენი მწერალი ქალი  
აღარ აპირობს ჩემზედ პასუხის დაწერას და, თუ პოეტობა-  
ზეც ხელს აიღებს, — ღმერთი, რჯული — დიდ ღვაწლს მხო-  
ლოდ მაშინ დასდებს ჩვენს „ცისკარს“.

ალბათ სრულიად მარტივია იმის გაგება, თუ რამ გამო-  
იწვია ილიას უკმაყოფილება. ეს იყო ქალი კრიტიკოსის გამ-  
ბედაობა, მისივე საინტერესო, მყარი და მკაფიო არგუმენტე-  
ბი. ეს გაუცნობიერებელი საფუძვლები აპირობებს მწერლის  
სურვილებს, რომლებიც ბარბარეს სახლში ჯდომასა და მისი  
ოთახიდან გამოუსვლელობაში, ლექსების წერის თავის დანე-  
ბებაში ვლინდება. „ქალებს მარტო ბალებზე წასვლა და ჭო-  
რაობა გაინტერესებთო. არიან ქალები, რომლებიც სალიტე-  
რატურო საქმიანობით არიან დაკავებულნი, მაგრამ მათ  
შრომას თქვენ ზედ არ უყურებთ: „აბა, ქალის დაწერილი და  
გადმოთარგმნილი რა იქნებაო!“ და თუ როგორმე ჭკუაში მო-  
გივიდათ, შეხვალთ ეჭვში: აქ მამაკაცს ექნება მონანილეო-  
ბაო. იმის მაგივრად, რომ ქალის ნაშრომს, როგორც იშვიათ  
მოვლენას ჩვენში, პირველი ადგილი დაუთმოთ უურნალ-გა-  
ზეთებში, თუ რომ ცოტაოდენათ მაინც ღირსია, არხივში გა-  
დასდებთ ხოლმე და იქნება როდესმე მასალის შემოკლებამ

<sup>3</sup> OMNIS DETERMINATIO EST NEGATIO, განთავსებულია [http://lelag.blogspot.com/2005\\_04\\_01\\_archive.html](http://lelag.blogspot.com/2005_04_01_archive.html)

მოაძებნინოს რედაქტორს ჩვენგან უკვე გამოტირებული ნაღვანი<sup>4</sup>...“ სწორედ ბარბარე აღმოჩნდა ერთადერთი ქალი, რომელმაც გაბედა და პუბლიცისტურ კამათში შევიდა ილიასთან.

ქართველ ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლაში ასევე დიდია ეკატერინე გაბაშვილის წვლილი. ეს იყო ქალი, რომელმაც პირველად აღძრა საზოგადოებაში ქალებისათვის განათლების მინიჭების საკითხი. ეკატერინე გაბაშვილი 1882 წლიდან “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” გამგეობის წევრი იყო, 1897-1922 წლებში - ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელი, ხოლო ოდნავ მოგვიანებით კი ქალთა წრის დაარსების და მისი რეგიონული ფილიალების შექმნის ინიციატორი. ეკატერინე გაბაშვილი, ისევე როგორც იმ დროინდელი მრავალი ქალი უკმაყოფილებას გამოთქვავდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მხოლოდ ვაჟების განათლებაზე ზრუნავდა და შესაბამისად, ქალთა განათლებისათვის არანაირი სახის სახსრებს არ გამოჰყოფდა: „მე გამაკვირა მხოლოდ იმან, რომ თორმეტიდან დაწყებული თითქმის ხუთ საათამდე იყო ცხარე ბაასი საზოგადოების ფულის მოხმარებაზედ წერა-კითხვის გავრცელებისათვის და არავის იმაზედ ხმა არ ამოუღია, ეს ღვანელი მარტო ვაჟების სასწავლებლებს და იმათ განათლებას უნდა ეკუთვნოდეს, თუ ქალებსაც უნდა პქონდეთ რამე მონაწილეობა. მართლაც გასაკვირია, როგორ ერთს ან საზოგადოების წევრს მმართველებს ფიქრადაც არ მოუვიდათ ქალების ბედის გახსენებაც. განა ცუდი იქნებოდა, როგორც ბათუმისა და თბილისის შკოლებზე ლაპარაკობენ, ესეც გადაეწყვიტნათ, რომ შკოლა საქალ-სავაურ ყოფილიყო?“<sup>5</sup>“

სწორედ ეკატერინე გაბაშვილის სახელს უკავშირდება პირველი ქართულენოვანი სკოლის გახსნა საქართველოში.

<sup>4</sup>OMNIS DETERMINATIO EST NEGATIO, განთავსებულია [http://lelag.blogspot.com/2005\\_04\\_01\\_archive.html](http://lelag.blogspot.com/2005_04_01_archive.html)

<sup>5</sup> „წერილი რედაქტორთან“, გაზ. „დროება“, 7 ივნისი 1880 წ. №119, გვ 2-3

1915 წელს ეკატერინე გაბაშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად დაფუძნებულ სკოლაში ყველა საგანს უკვე მშობლიურ, ქართულ ენაზე ასწავლიდა. ეს იყო პირველი პრეცედენტი საქართველოში, როდესაც სკოლაში მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. აი რას წერდა ეკატერინე გაბაშვილი გაზეთ „ივერიის“ რედაქტორს, როდესაც სააზნაურო სკოლის საზოგადო კრებაზე თავადაზნაურებმა ყურადღება არ მიაქციეს ქალთა სკოლის გამგეთა თხოვნას, რომლებიც სკოლების დახმარებას ითხოვდნენ. გულნატკენი ეკატერინე გაბაშვილი აღნიშნავდა: „ქართველი ქალები მუნჯებად დარჩნენ, მაგრამ განა ეს აძლევს ნებას ქართველ საზოგადოებას თვითონ მიივიწყოს მთელი ნახევარი თავის ეროვნებისა და ქალთა განათლების საქმეს ანდერძი აუგოს?! მით უფრო, რომ ქართველი საზოგადოება უნდა გრძნობდეს, რომ ქალები თვითონ საზოგადოებამ დაამუნჯა, წაართვა საშუალება სიტყვის ქონებისა. დიალ, მე მთელ ქართველ საზოგადოებას ბრალსა ვდებ, რომ ის განგებ ყურს იყრუებს და ხელს უწყობს ქართველ დედაკაცის გადაგვარებას... ჩვენმა საზოგადოებამ უთუოდ ქალთა და ვაჟთათვის ერთნაირად უნდა იზრუნოს და, რაც აქამდე დაშავდა ამ განცალკევებით, ერთი ორად გაძლიერებულის მუყაითობით აღადგინოს! დაგვიანება ყველაფერში სავაგლახოა, დაგვიანება ქალთა განათლებისა დანაშაულია, გაუსწორებელი დანაშაული!“<sup>6</sup>

ეკატერინე გაბაშვილი ასევე ქალთა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აქტიური თანამშრომელიც იყო, მან ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ერთად დაიწყო უურნალ „ჯეჯილის“ გამოცემა. ეკატერინე თავისი შემოქმედებით და ცხოვრებით აქტიურად ცდილობდა დაერწმუნებინა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოება თანასწორობის იდეის საჭიროებასა და აუცილებლობაში. ამიტომაც იყო, რომ თანამედროვეთაგან მან მრავალ ქალს აუხილა თვალი და მისცა შესაბამისი ბიძგი თვითგამორკვევისა და განვითა-

<sup>6</sup> „ეკატერინე გაბაშვილის წერილი რედაქტორს“, გაზ. „დროება“, 19 ივლისი, 1905 წ. №121, გვ 4.

რებისაკენ. აი რას ამბობს მისი პერსონაჟი ერთ-ერთ პიესაში: „ოჰ, მე რომ კაცად გავეჩინე განგებას, მაშინ ნახავდი, თუ როგორ დამათმობინებდა ვინმე ჩემ სურვილებს! მაგრამ ქალმა რა ვქნა“ ქალი ჯერჯერობით ფრთამოტებილი ფრინველია, თავისუფალი ფრენის ნებას არავინ დაუთმობს<sup>7</sup>..“

მე-19 საუკუნის ბოლოდან ევროპაში გაშლილმა ქალთა მოძრაობამ გამოძახილი საქართველოშიც ჰპოვა. იმ პერიოდისათვის ფემინისტური იდეები ძირითადად დასავლეთ ევროპაში განათლებამიღებულ ქალებს შემოჰქონდათ, რომლებიც ბრუნდებოდნენ სამშობლოში და თავიანთი ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარ ამოცანად ქართველ ქალთა ემანსიპაციას მიიჩნევდნენ. სწორედ ასეთი იყო კატო მიქელაძე (1878-1942), რომელმაც უმაღლესი განათლება ბრიუსელის უნივერსიტეტში, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიიღო. იგი არა მარტო საგანმანათლებლო საქმიანობით იყო დაკავებული, არამედ სუფრაჟისტულ ბრძოლსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ქალთა პოლიტიკაში აქტიური ჩართულობის მომხრე იყო. კატო მიქელაძისა და მისი თანამებრძოლი ქართველი ფემინისტების შეხედულებები ემთხვეოდა და სრულად ასახავდა მაშინდელი საერთაშორისო ფემინისტური მოძრაობების იდეებს. მიქელაძე სიღრმისეული დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე ეფექტურად არგებდა უნივერსალურ ფემინისტურ ღირებულებებს ადგილობრივ კონტექსტს. კატო მიქელაძე თვლიდა, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური გარემო ხელს უწყობდა ქალთა პოლიტიკური მოთხოვნების წინ წამონევას და პოლიტიკურ დღის წესრიგში შეტანას. იგი ღრმად იყო დაწმუნებული, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად უნდა მომხდარიყო ქართველი ქალების განთავისუფლება და სახელმწიფოს მხრიდან მათი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგა-

<sup>7</sup> ქალი ავტორი, აქტორისა და აქტორი, სოციალურ მეცნიერებთა ცენტრი „გენდერული იდენტობები, დამოუკიდებულებები და აღქმა“, 14 ნოემბერი, 2013, თსუ, თბილისი

დოებრივ პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, თუმცა მან ძალიან მალე მწარე იმედგაცრუება მიიღო, როდესაც მისი თქმით დარწმუნდა, რომ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები მამაკაცების მიერ იყო მონოპოლიზებული იყო, სადაც სივრცე ქალთა ჩართულობისა და პოლიტიკური მონაწილეობისათვის ფაქტობრივად არ არსებობდა. კატო მიქელაძე კიდევ უფრო დარწმუნდა იმ აზრში, რომ ქალთა ემანსიპაციის საკითხი კვლავ არ იყო აქტუალური ხელისუფლებისათვის, როდესაც მას ეროვნულ ყრილობაზე სიტყვის თქმის უფლება არ მისცეს. როდესაც ყრილობის ერთ-ერთმა წევრმა ამხანაგმა ცერცვაძემ კითხვა დაუსვა ნოე უორდანიას, თუ რატომ დაივიწყეს ქართველი ქალი, რომელსაც თავისი წარმომადგენელი არ ჰყავდა ეროვნულ საბჭოში, პასუხად გაისმა დარბაზში მჭექარე ხმა მოხუცი სოციალისტისა: „ჩვენ გვყავს ქალები“<sup>8</sup>. კატო მიქელაძე საპასუხოდ აღნიშნავდა: „ჩვენ ვიცით, რომ მას ქალები ჰყავს, მაგრამ არ ვიცით რამდენად მისი ქალები დაიცავენ ქალთა უფლებებს დამფუძნებელ კრებაზე და გაბედავენ პარტიულ ჩარჩოდან გამოსვლას. დიად ბატონ უორდანიას ქალები ყავს, მაგრამ მისი წყალობით ქართველ ქალებს თავისი ინტერესების დამცველი დღეს არავინა ყავს“<sup>9</sup>.

1917 წელს კატო მიქელაძემ დაიწყო პირველი ფემინისტური გაზეთის „ხმა ქართველი ქალისას“ გამოცემა, რომელიც მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით და მასში სტატიების დიდ ნაწილს თავად კატო მიქელაძე წერდა სხვადასხვა ფსევდონიმით. გაზეთი სხვადასხვა სფეროებს მოიცავდა, როგორიც იყო: პოლიტიკა, ოჯახი, სექსუალური ცხოვრება, სამოქალაქო საზოგადოება და სხვ. მის პირველივე ნომრებს ლაიტმოტივად გასდევდა შემდეგი მოწოდება: „ქალებო მოითხოვეთ საარჩევნო ხმის უფლება“. გაზეთს აქტიური გამოხმაუ-

<sup>8</sup> მელაშვილი. თ. კატო მიქელაძე, ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, თბილისი: პაინრიბ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2013

<sup>9</sup> იქვე.

რება მოჰყვა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საზოგადო მოღვაწეებისგან. გაზეთში წერილებს აქვეყნებდნენ ქალები და არა მხოლოდ ქუთაისიდან, თბილისიდან, არამედ ზესტაფონიდან („ზესტაფონის ქალთა წრის საზოგადო კრება“), სამტრედიდან, ხაშურიდან, ლეჩხუმიდან („ხმა ლეჩხუმიდან“), ბათუმიდან („წერილი ბათომიდან“). აღნიშნული გაზეთი შემონირულობების ხარჯზე არსებობდა და ფინანსური რესურსის არქონის გამო, „ხმა ქართველი ქალისამ“ მხოლოდ ერთი წელი იარსება და 1918 წელს კი გაზეთი დაიხურა.

ქალთა პოლიტიკური უფლებების რეალიზების თვალსაზრისით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო ევროპაში, რომელმაც ქალებს როგორც აქტიური და ასევე პასიური საარჩევნო უფლება მიანიჭა. 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე პოლიტიკურ პარტიათა მიერ წარმოდგენილ საარჩევნო სიებში კანდიდატად დაახლოებით ოცამდე ქალი დარეგისტრირდა, ხოლო, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელ კრებაში ხუთი დეპუტატი ქალი იყო წარმოდგენილი: ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ანა სოლოლაშვილი, ელეონორა ტერფარსეგოვა, ქრისტინე შარაშიძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე<sup>10</sup>. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია აცხადებდა კანონის წინაშე ორივე სქესის თანასწორობას და კრძალავდა მათ შორის წოდებრივ განსხვავებას. ორივე სქესი თანასწორი იყო როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით: „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს,

<sup>10</sup> დარჩიაშვილი, რ. უახლესი ისტორია არქივებსა და მოგონებებში, გაზ. „24 საათი“, 23 მაისი, 2014

რომელსაც 20 წელი შესრულებია“ (საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციია, მუხლი 46). ასევე განსაკუთრებით საინტერესო იყო კონსტიტუციის ჩანაწერი, რომელიც აცხადებდა, რომ „რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინი-მუმი ხელფასი და წარმოებაში შრომის ნორმალური პირობები... განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში: მუშა ქალი მშობიარობის დროს არანაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად. დამქირავებელს ევალება ჩვილ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოში ამყოფოს მუშა ქალები“ (მუხლი 126).

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასა და საბჭოთა მმართველობის დამყარებასთან ერთად, ქვეყანაში ყოველგვარი სახის სამოქალაქო ინიციატივა და მასთან ერთად ქალთა აქტივიზმიც შეწყდა. ფემინიზმი ფაქტობრივად ევროპიდან შემოსულ ბურჟუაზიულ სენად მოინათლა.

*Eka Darbaidze  
Ilia State University*

## **FROM THE HISTORY OF WOMEN'S RIGHTS MOVEMENT**

Women's public activity in Georgia emerged in 1960s, when women began to participate in the public discussions on various topics. Women's activism significantly increased in the 20th century. Initially the women's movement focused on the safeguards of equal education and property right but later the emphasis was carried over to the political rights. From the late 19th century the women's liberation movement which had spread in Europe found a broad response in Georgia. At that time the feminist ideas were being brought mostly by the women educated in Western Europe, who returned to their homeland and believed that the emancipation of women was the main goal and biggest struggle of their life. By the end of the 19th century, dozens of schools and vocational schools for women existed not only in Tbilisi but also in different towns in Georgia. In addition to the educational field, the women's activities were directed towards creation of social organizations and circles organized and intended for women. Such circles and groups existed in Tbilisi and other Georgian towns. Main goals of women's associations were the women's education, professional and economic opportunities and promotion of women in the public arena. The women's activism and, in general, the civil activism ceased with the introduction of Soviet rule and was reduced to the formal activities led by the Soviet nomenclature. The lack of experience of the Georgian feminist activism and the knowledge created and maintained under the pressure of the totalitarian regime and survivals of Soviet ruling, had conditioned to the fact that the feminism was understood as the bourgeois trend introduced from Europe.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ქალი ავტორი, აქტრისა და აქტორი, სოციალურ მეცნიერებთა ცენტრი „გენდერული იდენტობები, დამოკიდებულებები და 14 წლის მატერიალური მეცნიერებები“ 2013, თბილისი, თსუ
2. გაბაშვილი. ე. რჩეული ნაწერები, ტფილისი, 1931
3. მელაშვილი. თ. კატო მიქელაძე, ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2013
4. საქართველოს კონსტიტუცია 1921 წ.
5. გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“, 17 აპრილი, 1917. №2.
6. „ეკატერინე გაბაშვილის წერილი რედაქტორს“, გაზ. „დროება“, 19 ივლისი, 1905 წ. N121, გვ 4.
7. „ორიოდე სიტყვა ყმანვილი კაცების საყურადღებოდ“, გაზ. „კვალი“ 1893, N16 გვ. 1-2
8. OMNIS DETERMINATIO EST NEGATIO, განთავსებულია [http://lelag.blogspot.com/2005\\_04\\_01\\_archive.html](http://lelag.blogspot.com/2005_04_01_archive.html)

**მანანა დარჩაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

---

**ადგილობრივი თვითმმართველობის  
რეფორმის პროცესით გამოცვეული აზრთა  
სხავადასხვაობა საქართველოში (2013-2014 წწ.)**

ადგილობრივი თვითმმართველობა, ხელისუფლების საზოგადოებასთან ყველაზე ახლო მდგომი რგოლია. შესაბამისად, საქართველოში, თანამედროვე ეტაპზე, დემოკრატიულობის და განვითარების ხარისხი, დასავლეთის სახელმწიფოების მსგავსად, ბევრად განისაზღვრება ადგილობრივი ხელისუფლების დემოკრატიულობით. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას და განხორციელებას ადგილზე არჩეული ხელისუფლების ორგანოების მიერ, მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, ქვეყნის სწრაფი განვითარების წინაპირობაზეც შეიძლება მივიჩნიოთ. ადგილობრივ თვითმმართველობის საკითხთან დაკავშირებული თემები, ბოლო პერიოდში, ქართულ სინამდვილში ფართო განსჯის საგანად იქცა.

საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, თვითმმართველობის კოდექსში მთელი რიგი ცვლილებების გამო, მსჯელობა მეტად ხმაურიან ფონზე მიმდინარეობდა. კანონოპროექტის ზოგიერთმა ნაწილმა საზოგადოების ვნებათლელვა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ პოზიციის დაფიქსირება გამოიწვია. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩემი კვლევის მიზანია, ემპირიული მასალის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროექტით გამოწვეული სხვადასხვა შეხედულებების შესწავლა და ანალიზი.

თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტი არა-ერთ სიახლეს ითვალისწინებდა, მათ შორის ძირითდი სიახლეები იყო: მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევის

წესის შემოღება; თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდა; თბილისში, საკრებულოსთან ერთად უპნის საბჭოების არჩევაც; გუბერნატორების ადმინისტრაციებთან ადგილობრივი საკრებულოების კოლეგიური საბჭოების შექმნა, სამოქალაქო ჩართულობის მიზნით საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა; 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე თვითმმართველი ორგანოების გამონაკლისი სახით 3 წლის ვადით არჩევა. არაერთ საკითხზე იყო კრიტიკა და კამათი. თუმცა, ყველაზე მეტად გამოხმაურება მოჰყვა პროექტის ერთ-ერთ მთავარ ნოვაციას, რომელიც მოიაზრებდა რეგიონული გაერთიანების შექმნას იმ მუნიციპალიტეტების მონაწილეობით, რომლებიც მთავრობის მიერ დანიშნული გუბერნატორების მართველობის ტერიტორიაში შევიდოდნენ. რეგიონულ გაერთიანებას გუბერნატორი უხელმძღვანელებდა, ხოლო მის კოლეგიურ ორგანოს წარმოადგენდა საბჭო, რომელიც გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრებით დაკომპლექტდებოდა. გუბერნატორი ერთის მხრივ ანგარიშვალდებული იქნებოდა მთავრობის, ხოლო მეორე მხრივ - საბჭოს წინაშე. გუბერნატორი კანონპროექტის თანახმად, უზრუნველყოფდა საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას და ვალდებული იყო ანგარიში წარედგინა განეული საქმიანობის შესახებ. ამასთან, საბჭოს სხვა უფლებამოსილებებთნ ერთად, ასევე ექნებოდა უფლება, რომ მთავრობის წინაშე დაესვა სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. კანონპროექტის მიხედვით, საბჭო დაამტკიცებდა რეგიონში განსახორციელებელ პროექტებს და უფლებამოსილი იქნებოდა წინადადებით მიემართა გუბერნატორისათვის პროექტების შეცვლის მოთხოვნის თობაზე, რაზედაც შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად უკვე საქმეში მთავრობის ჩარევა გახდებოდა საჭირო.<sup>11</sup>

<sup>11</sup> მოგვიანებით ეს დებულება შეიცვალა, ამ საბჭოების როლი შემცირდა და მათ მხოლოდ „საკონსულტაციო“ უფლებამოსილება მიენიჭათ.

კანონპროექტის ავტორებს ამგვარი განაწილების შეცვლა მოუწიათ, რადგან ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ და საპატრიარქომ ხელისუფლება იმ მოტივით გააკრიტიკა, რომ, მათი მოსაზრებით, რეგიონული საბჭოები გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა.

დისკუსიის მიმდინარეობა ბევრად განაპირობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადებამ, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული მთელი რიგი ცვლილებები, მისი აზრით, შესაძლოა სეპარატიზმის გაღვივების და ქვეყნის დაქუცმაცების საფუძველი გამხდარიყო. ამიტომ, მან თხოვნით მიმართა პარლამენტს გაეთვალისწინებინათ მის მიერ დანახული საშიშროება და ნუ აჩქარდებოდნენ გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>12</sup>

პატრიარქის ამ განცხადებას, პოლიტიკოსთა მხრიდან, მაშინვე ფართო გამოხმაურება მოჰყება. განხილვებში მონაწილეობდნენ საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის, არასაპარლამენტო პარტიების და საზოგადოების წარმომადგენლები. საკითხზე მსჯელობისას აშკარა იყო ორი მი-

<sup>12</sup> ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლება დღეს განიხილავს და მსჯელობს თვითმართველობის საკითხზე. ეს მეტად რთული საკითხია. თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისკენ. ჩვენ ამას არასოდეს შევეღუბით და ამას გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ შესრულდეს. საქართველო იყო და იქნება ერთიანი ერი, ერთიანი ქვეყანა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ძლიერი იყო ხელისუფლება და მის გარშემო მთელი ქვეყანა, ძლიერი იყო საქართველოც. ჩვენი აზრით, ყოველი რაიონი უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენს ხელისუფლებასთან. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ის პრობლემები, რომელიც არსებობს რაიონში. ამას არ სჭირდება შეუარყოლი. ხელისუფლება თვითონ უნდა განიხილავდეს, უნდა შეისწავლოს რა სჭირდება თითოეულ რაიონს. ჩვენი ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, რომ პრობლემა რომელიც არსებობს ამა თუ იმ რაიონში, იყოს გამოსწორებული. რატომდაც ზოგიერთი ცდილობს, რომ კანონი სასწრაფოდ უნდა იყოს მიღებული. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს განხილული მთელი ერის მიერ. ხალხმა უნდა იმსჯელოს რა არის მისაღები საქართველოსთვის. ამიტომ, არ უნდა ვიჩქაროთ. ხალხი უნდა გაეცნოს თვითმმართველობის ამ კანონს. მე მინდა დიდი პატივისცემით მივმართო ჩვენს პარლამენტს და ხელისუფლებას, გაითვალისწინონ ეს საშიშროება და ნუ აგრძელდებით ამის მიღებაში.“ <http://24saati.ge/news/story/41703-patriarqi-tutvitmarmartvelobis-kanoni-gankhortsielda-es-saqartvelos-dashla-iqneba> ნანახია

მართულების გამოყოფა: 1. ზოგიერთი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროექტს დემოკრატიის განვითარების საშუალებად მიიჩნევდა; 2. ნაწილი კი, რისკებს ხედავდა. შექმნილ ვითარებაში, როგორც არაერთხელ სხვა დროს ქართულ რეალობაში, მიუხედავად იმისა, რომ სააქართველო სეკულარული სახელმწიფოა, კიდევ ეთხელ გამოჩნდა ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის განსაკუთრებული დამოკიდებულება.

ისტორიკოსი, აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე პატრიარქის მსგავსად, საშიშროებას ხედავდა თვითმმართველობის განსახილველ პროექტში, მიუთითებდა მოსალოდნელი დაქუცმაცებულობის, ეთნოკონფლიქტების საშიშროების შესახებ: „მწვავედ დადგა საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი. სხვადასხვა პროექტები დგება და უნდა გითხრათ, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ამ სახით ეს პროექტი საქართველოს დაყოფის საფუძველს იძლევა. პროექტში მოცემულია, რომ რეგიონებში უნდა იყოს თვითმმართველობა, კი ბატონო, მაგრამ მათ პარლამენტის მსგავსი ორგანო უნდა ჰქონდეთ. ფაქტობრივად, ძალიან დიდი დამოუკიდებლობა ექნებათ ქართლს, კახეთს, იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, და რაც ყველაზე მძიმეა, ქვემო ქართლს - სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიას. მათ რა სურვილები აქვთ, ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობს, გაანეიტრალოს ეს, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ამ ორივე ეთნიკური ჯგუფით დასახლებული ტერიტორიები, უშუალოდ, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრეა. ასე რომ, ხვალ რა მოხდება, კაცმა არ იცის. ამაზე დაფიქრებაა საჭირო. ეს ისეთი რთული საკითხია, რომ, მე მგონი, ყველა პროექტი, რაც შეიქმნება, უნდა გამოქვეყნდეს. მოსახლეობას შეეძლოს ამ პროექტების განხილვა, წაკითხვა. მას შემდეგ, რაც საქართველოს მოსახლეობა ერთ-ერთ რომელიმე პროექტს შეცვლის ან დასტურს მისცემს, შემდეგ უნდა შევიდეს პარლამენტში დასამტკიცებლად. ეს ძალიან

რთული საკითხია. ძალიან რთული პრობლემაა, ამიტომ არ შეიძლება ხელისუფლება აჩქარდეს,<sup>13</sup> - განაცხადა მ.ლორთქიფანიძე.

პატრიარქის განცხადებას თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით არაერთგაროვანი შეფასებები მისცეს პოლიტიკოსებმა. გარკვეულმა ჯგუფმა საპატრიარქო სახელმწიფო საქმეების ჩარევაში დაადანაშაულა.

საპარლამენტო უმცირესობის, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პ. კუბლაშვილი კატეგორიულად გაემიჯნა მოსაზრებას სეპარატიზმის საფრთხესთან დაკავშირებით, ხაზი გაუსვა სეულარულ სახელმწიფოში ეკლესიისადმი დამოკიდებულებას, გადაჭარბებულად მიიჩნია პატრიარქის შეფასებები და ის პოლიტიკოსები დაადანაშაულა ვინც მისი თქმით, ეკლესიას საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა. ამასთან, უპასუხისმგებლოდ მიიჩნია მმართველი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთაც პატრიარქის მიერ განცხადების გაკეთების შემდეგ აღნიშნეს, „რომ აი ახლა ჩვენ პატრიარქისგან მოვისმინეთ და ახლა უფრო დავინტერესდებით ამ საკითხით“, ამასთან დასძინა: „მე ვფიქრობ რომ მთავარი პრობლემა არის პოლიტიკის და რელიგიის, პოლიტიკის და ეკლესიის გამიჯვნა და ეს ესე უნდა მოხდეს.“<sup>14</sup>

ამავე გუნდიდან გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რომ საქართველოში სახელმწიფო და ეკლესია გაყოფილია და შესაბამისად სასულიერო პირებისგან „პრეტენზიები“ მისთვის მიუღებელია.<sup>15</sup>

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თ. კორძაიას გამოხმაურება, რასაც ფაქტობრივად საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ფართო გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, მან

<sup>13</sup> <http://mtavari.info/news-13723.html>, ნანახია 10.12.2013

<sup>14</sup> <http://www.tabula.ge/ge/story/77888-kublashvili-patriarqis-shefasebebi-aristaturad-gadacharbebuli>, ნანახია 15.12.2013.

<sup>15</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/politika/262561-giga-bokeria-unda-gvesmodes-ro-m-saqarthveloshi-sakhelmtsifo-da-eklesia-gayofilia.html?ar=A> ნანახია 10.12.2013.

აღნიშნა, რომ როდესაც პატრიარქი მოუწოდებდა ხელისუფლებას დაფიქრებისაკენ, რათა „არ მივიღოთ ეს თვითმმართველობის კოდექსი ნაჩეარევად, ალბათ ჯობდა, რომ თვითმმართვაც გაიაზროს იმ მკაფიო განცხადებების რისკი რასაც აკეთებს ქადაგების შემდეგ. არ შეიძლება პატრიარქი აკეთებდეს განცხადებას იმის თაობაზე, რომ რისკებს შეიცავს თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნახევარზე მეტს წაკითხული არ აქვს თავიდან ბოლომდე. ამიტომ, თუ პატრიარქი მოუწოდებს საზოგადოებას აქტიური დისკუსიისაკენ, მან შეფასება არ უნდა გააკეთოს რა რისკებს შეიცავს ეს კოდექსი. ვფიქრობ, რომ საპატრიარქო ასეთი ტიპის განცხადებებით ზედმეტად ერევა სახელისუფლებო საქმიანობაში და ჩემი აზრით, საპატრიარქოს და სახელისუფლებო ფუნქციები და მოვალეობები ნამდვილად ერთმანეთისგან გამიჯნულია და გამიჯნული უნდა იყოს,“ - განაცხადა მან. ამასთან, სოციალურ ქსელში კომენტარიც გააკეთა: „ხომ არ ჯობდა ერთი საპარლამენტო მანდატი გადაგვეცა პატრიარქისათვის?!“<sup>16</sup> რის გამოც საზოგადოების და პოლიტიკოსთა ფართო წრის, მათ შორის საკუთარი გუნდიდანაც, კრიტიკა დაიმსახურა.

პატრიარქის მიმართ კრიტიკით აღსავსე იყო ექსპერტები ელენე ხოშტარიას გამოხმაურებაც: „უნდა შემოვიღოთ კანონშემოქმედებაში ახალი ეტაპი, საპატრიარქოსთან შეთანხმება... მერე პრობლემები რომ არ იყოს, ჯერ თავში იდეის გაჩენა შევათანხმოთ, მერე ამ იდეის გაუღერება, მერე გაუღერებული იდეის ქაღალდზე გადმოტანა, მერე პროექტი გავაგზავნოთ, მერე პარლამენტში თითო მოსმენის წინ კიდე... ნუ, მარტივად რომ ვთქვათ, ნაკურთხი უნდა იყოს კანონები“<sup>17</sup>.

საზოგადოების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა ჟურნალისტზე. ქორიძის განცხადებასაც, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პატრიარქი ხელისუფლების შემოთავაზებული თვით-

<sup>16</sup> <http://24saati.ge/news/story/41703-patriarqi-tu-tvitmmartvelobis-kanoni-gank-hortsielda-es-saqartvelos-dashla-iqneba> ნანახია 10.12.2013.

<sup>17</sup> იქვე.

მმართველობის კანონის მიმართ წინააღმდეგობით ევრო-პულ არჩევანსა და პროგრესს ეწინააღმდეგებოდა.

აღსანიშნავია, რომ თ. კორძაიას, ასევე ზ. ქორიძის სა-პასუხოდ არაერთი კრიტიკული გამოხმაურება დაიბეჭდა, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გ. ჩახვაძემ აღნიშნა, რომ „ქალბატონი თამარი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთნ და კონკორდატთან, სადაც საქართველოს პატრიარქსა და მთლიანად ქართულ ეკლესი-ას აქვს ლეგიტიმური უფლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გამოხატოს თავისი შეხედულება“, ამასთან მოუ-ნოდა თ. კორძაიას „გადახედოს ისტორიას და თავი შეიკავოს მსგავსი განცხადებებისა და მოსაზრებების გაკეთებისაგან.“

პატრიარქის მიმართ კრიტიკული გამოსვლები მკაც-რად გააკრიტიკეს და მისდამი დიდი პატივისცემა დააფიქსი-რეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ თავჯდომარე თ. ჩხე-იძემ, პარტია „თვისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (იმჟამად) წევრმა სოსო მანჯავიძემ, პარლამენტის წევრმა უმრავლე-სობიდან ს. ჯაჭვლიანმა და სხვებმა, როგორც პოლიტიკო-სებმა, ისე საზოგადოების წარმომადგენლებმა.

სხვადასხვა საინტორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ინფორმაცია თვითმმართველობის კანონპროექტზე პატრიარქის განცხადების გარშემო განვითა-რებული მოვლენების შესახებ, სადაც აღნიშნული იყო: „პატრი-არქი საქართველოს პროგრესის წინააღმდეგი არაა. ვერავინ გა-იხსენებს საქართველოს ეკლესის მეთაურის ერთ განცხადე-ბასაც კი, რომელიც ქვეყნის განვითარებისა და პროგრესის წი-ნააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. ილია მეორეს არც ევრო-კავშირის საწინააღმდეგო უთქვამს ოდესმე რამე. მან განაცხა-და, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექ-ტში“ სეპარატისტული ნაღმებია ჩადებული და თუ ის კანონად ვაქციეთ, ეს საქართველოს დაშლისო. მართალი აღმოჩნდა პატრიარქი, დღეს ქართველ პოლიტიკოსთა წაწილი ერთმა-

ნეთს ასწრებს კანონპროექტის ის კარი გააკრიტიკონ, რომელიც პატრიარქმა დაგმო<sup>18</sup>, - აღნიშნულია გაზეთში.

იმუსამად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ, 5 დეკემბერს (2013 წ.) გამართული მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, განაცხადა, რომ თვითმმართველობის კოდექსის პროექტში ბოლო დღეების განმავლობაში საპარლამენტო უმრავლესობასა და მთავრობაში მიმდინარე კონსულტაციების შედეგად რამდენიმე ნორმა გადაიხედა. მან განაცხადა, რომ პატრიარქს არ შეხვედრია, თუმცა საპატრიარქოსთან ჰქონდა კომუნიკაცია. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ მისგან მოდიოდა მზაობა, მომხდარიყო შესაბამისი კოდექსის განხილვა იმ ადამიანების წრესთან, ვისაც ჰქონდა შენიშვნები.<sup>19</sup>

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის ვიცესპიკერის მანანა კობახიძის გამოხმაურება: „დავინტერესდები, გავიგო სიღრმეებში, რა საფრთხეებს ხედავს საპატრიარქო თვითმმართველობის კანონში<sup>20</sup>“, განაცხადა მან და სეკულარულ სახელმწიფოში რელიგიის და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხთან ოპონენტების დამოკიდებულების მიუხედავად დასძინა, რომ „პატრიარქს ხელისუფლება ყურს უგდებს და საპატრიარქოს პოზიცია ყოველთვის მნიშვნელოვანია“.

პარლამენტის თავმჯდომარემ კი პოლიტიკური ოპონენტების კრიტიკულ შეხსენებაზე - სეკულარულ სახელმწიფოში რელიგიის როლთან მიმართებაში, აღნიშნა, რომ საქართველო ყველასია: პოლიტიკოსის, უურნალისტის, რელიგიური მოღვაწის. პატრიარქი მიბრძანდება არჩევნებზე და ხმას აძლევს, იხდის მოქალაქეობრივ ვალს და ამიტომ მას აქვს სრული თავისუფლება გამოხატოს თავისი პოზიცია. მისი მოსაზრების ჩარევად შეფასება კი გადაჭარბებულად მი-

<sup>18</sup> [http://commersant.ge/index.php?m=5&news\\_id=10356&cat\\_id](http://commersant.ge/index.php?m=5&news_id=10356&cat_id)= ნანახია 12.12.2013.

<sup>19</sup> <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/26030/> ნანახია 10. 12.2014

<sup>20</sup> <http://24saati.ge/news/story/41703-patriarqi-tu-tvitmmartvelobis-kanoni-gankhortsie-lida-es-saqartvelos-dashla-iqneba> ნანახია 14.12.2013

იჩნია. „საქმეში ჩარევა იქნება ის, პატრიარქმა კოდექსი ან თავზე გადაგვახილოს ან ვეტო დაადოს. პოზიციის გამოთქმა ჩარევა არ არის“<sup>21</sup>, - განაცხადა დ. უსუფაშვილმა.

თვითმმართველობის კოდექსზე გამოთქმული შემთხოთებები გადაჭარბებულად მიიჩნია იუსტიციის მინისტრმა თ. წულუკიანმა. მისი თქმით, ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიაღწიოს იმას, რომ როდესაც ადგილობრივი ტიპის პრობლემები გადასაჭრელია, ყველაფერი თბილისიდან არ უნდა წყდებოდეს<sup>22</sup>.

საკითხთან მიმართებაში თვიანთი პოზიცია დააფიქსირეს კონსტიტუციონალისტებმაც, მაგალითად, გ. ხუბუა თვითმმართველობის კოდექსის პროექტს მნიშვნელოვან სიახლედ მიიჩნევდა ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისათვის<sup>23</sup>. კერძოდ, მას მიაჩნდა, რომ თვითმმართელობის შემოღება მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულ (რეგიონის) დონეზე არ ცვლიდა სახელმწიფოს უნიტარულ ბუნებას და არ ენინაალმდეგებოდა კონსტიტუციას<sup>24</sup>. „თვითმმართველობა ვერ განიხილება, როგორც ქვეყნის დაშლის ან სეპარატიზმის წამახალისებელი წყარო, არამედ პირიქით, საქართველოს მოქალაქეებს აქვს თვითმმართველობის უფლება. ამავე დროს, ტერიტორიული ერთეულის საზღვრების დადგენა სახელმწიფოს პრეროგატივაა. ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეებისათვის გარანტირებული უნდა იყოს თვითმმართველობის უფლების რეალიზაცია“,<sup>25</sup> - განაცხადა გ. ხუბუამ.

---

<sup>21</sup> ოქვე

<sup>22</sup> <http://www.geetimes.ge/archive/index.php?m=home&newsid=52668> წანახია 25. 02.2015წ.

<sup>23</sup> “თვითმმართველობის დროა”, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტინი №2, გვ.4.

<sup>24</sup> კერძოდ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

<sup>25</sup> ოქვე.

კონსტიტუციონალისტმა ავთო დემეტრაშვილმა კი აღნიშნა, რომ ტრანზიციის ეტაპზე მყოფ სახელმწიფოში დეცენტრალიზაციამ შეიძლება დროებით შექმნას მმართველობის პრობლემები, მაგრამ იგი არ უნდა იყოს განხილული როგორც ქვეყნის დაშლის ან სეპარატიზმის წამახალისებელი წყარო.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის სადაცვო ნაწილში გარკვეული ცვლილებების შესვლის შემდეგ, 45-მა არასათავრობო ორგანიზაციამ ეს უარყოფითად შეაფასა და საქართველოს მთავრობას და პარლამენტს მიმართა, რომ არ აყოლოდნენ თვითმმართველობის დისკრედიტაციის ტალღას და არ შეეჩერებინათ რეფორმის პროცესი.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აშკარაა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროექტისადმი დიდი ინტერესი პოლიტიკოსების და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მხრიდან.

პატრიარქის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ - თვითმმართველობის რეფორმით ტერიტორიული მთლიანობისთვის შესაძლო საფრთხესთან დაკავშირებით, ქვეყნის მასშტაბით ფართო გამოხმაურება გამოიწვია. საკითხის განხილვისას სხვადასხავავარი შეფასებები გამოიკვეთა.

მმართველმა გუნდმა თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავებისას, საპატრიარქოს და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ კანონპროექტისადმი დაფიქსირებული პოზიციის გამო, გარკვეული კორექტივები შეიტანა რეფორმის მიმდინარეობისას.

პარლამენტში, კენჭისყრამდე, თავის გამოსვლაში პარლამენტის თავმჯდომარე მიესალმა თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებულ განხილვებს, აღნიშნა, რომ ამ თემაზე მართალია 50-ზე მეტი შეხვედრა იყო გამართული, მაგრამ უფრო მეტი შეხვედრა იყო საჭირო პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან, რათა უკეთ აეხსნათ მათთვის დაგეგმილი რეფორმის არსი.

*Manana Darchashvili*  
**GTU**

**DIVERSITY OF VIEWS CAUSED BY THE LOCAL SELF-GOVERNANCE  
REFORM PROJECT IN GEORGIA (2013- 2014)**

Government's closest standing circle to society is a local self-government. Accordingly, nowadays in Georgia, as in western countries, the quality of development and democracy is determined by quality of democracy at the local government. Recently, the issues related to the local self-government, has become a subject of broad discussions in Georgian reality. In 2014, for the local self-government elections, number of changes were made in the code of local self-government, which caused loud discussions. Some part of the code has caused controversy in society and Patriarchate of Georgia made statement about the above-mentioned issue. Patriarch's opinion - about possible threats of territorial integrity caused by self-government reform, was widely discussed. During discussions, different assessments were made. According to the materials presented in this article, it is obvious, that reforms in the code of self-government, caused huge interest of politicians and representatives of various parts of society.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, ნანახია 12.10.2013  
<https://emis.ge/acts/saqartvelos%20konstitucia.pdf>

2. პატრიარქი: „თუ თვითმმართველობის კანონი განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება“ ნანახია 12.12.2013, <http://24saati.ge/news/story/41703-patriarqi-tu-tvitmmartvelobis-kanoni-gankhortsielda-es-saqartvelos-dashla-iqneba>

3. ჩიკვაძე, დ. საეკლესიო სამართლის საკითხები, ნანახია 05.12.2013 <http://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/3-1-2.htm>

3. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, ნანახია 10.12.2013 <http://www.patriarchate.ge/?action=text/samartali05>

4. ლოროტქიფანიძე, მ. თვითმმართველობის პროექტის ავტორებს ან არ ესმით, რას აკეთებენ, ან ესმით და შეგნებულად აკეთებენ! ნანახია 10.12.2013 [http://reportori.ge/?menuid=3&id=9903&fb\\_action\\_ids=687793817905458&fb\\_action\\_types=og.likes&fb\\_ref=.Up-w-BpG3D8.like&fb\\_source=feed\\_opengraph&ac](http://reportori.ge/?menuid=3&id=9903&fb_action_ids=687793817905458&fb_action_types=og.likes&fb_ref=.Up-w-BpG3D8.like&fb_source=feed_opengraph&ac)

5. კუბლაშვილი: პატრიარქის შეფასებები არის აბსოლუტურად გადაჭარბებული, ნანახია 15.12.2013 <http://www.tabula.ge/ge/story/77888-kublashvili-patriarqis-shefasebebi-aris-absoluturad-gadacharbebuli>,

6. გიგა ბოკერია - უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოში სახელმწიფო და ეკლესია გაყოფილია, ნანახია 10.12.2013 <http://www.interpressnews.ge/ge/politika/262561-giga-bokeria-undagvesmodes-rom-saqarthveloshi-sakhelmtsifo-da-eklesia-gayofilia.html?ar=A>

7. „ვინ არის საქართველოს და პატრიარქის და ვინ - კორძაიას, რამიშვილის და უსუფაშვილის მხარეს“, ნანახია 07.09.2014 [http://www.sazogadoeba.ge/index.php?post\\_id=1189](http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=1189)

8. „კვირის ქრონიკა“: პოლიტიკოსები ერთმანეთს ას-ნებენ კანონპროექტში ის ადგილი გააკრიტიკონ, რომელიც პატრიარქმა დაგმო! ნანახია 12. 12.2014 [http://commersant.ge/index.php?m=5&news\\_id=10356&cat\\_id=](http://commersant.ge/index.php?m=5&news_id=10356&cat_id=)

9. ნარმანია: თვითმმართველობის კოდექსი საფრთხეების შემცველი არ ყოფილა, <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/26030/> ნანახია 10.12.2014

10. საქართველოში ყველაზე სანდო ინსტიტუტად ეკლესიას მიიჩნევენ, <http://www.smoge.org/?p=12258>, ნანახია 20.08.2014წ.

11. “თვითმმართველობის დროა”, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტინი №2, გვ.4.

**სალომე დუნდუა  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

---

**თანამედროვე საქართველოს სოციალური  
მოძრაობების ზოგიერთი ასპექტი**

„სოციალური მოძრაობა - ესაა კოლექტიური მოქმედებების ერთობლიობა, რომლის დროსაც უბრალო ხალხი გამოფხიზდებული, განათლებული და მობილიზებულია, ზოგჯერ წლების და ათწლეულობის მანძილზეც კი, რათა დაუპირისპირდეს დაინტერესებულ მხარეებს, გამოასწოროს სოციალური პრობლემები და ნინ წამოსწიოს კრიტიკული სოციალური ღირებულებები<sup>26</sup>“ - სოციალური მოძრაობების ამგვარ განმარტებას გვთავაზობს ბილ მოიერი 2011 წელს გამოცემულ თავის წიგნში, დემოკრატიის კეთება.

უკანასკნელი პერიოდის მსოფლიო არაერთი სოციალური მოძრაობის მომსწრე გახდა, რომელთა უმრავლესობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც საზოგადოების გამოფხიზდებაში, ასევე კრიტიკული სოციალური ღირებულებების წინ წამოწევაში (მაგ. „დაიკავე უოლ სტრითი“, არაბული მოძრაობები, თაქსიმინის ირგვლივ განვითარებული მოვლენები).

სოციალური მოძრაობების კვლევა საქართველოში შედარებით ახალი, თუმცა დასავლეთის სამეცნიერო წრეებში საკმაოდ პოპულარული საკითხია. ფართო საზოგადოებრივი აქტივობა და სოციალური მოძრაობები ჩვენს ქვეყანაში უახლესი პერიოდის მოვლენაა და თანდათანობოთ იკიდებს ფეხს, შესაბამისად, ბუნებრივია, მისი კვლევაც სიახლეს წარმოადგენს.

---

<sup>26</sup> Moyer, Bill, McCallister, Joan..(2012) Doing Democracy: The MAP Model for Organizing Social Movements, New Society Publishers, p. 24

საქართველოში სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბების პროცესსა და განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდში განვითარებული ფართო საზოგადოებრივი აქტივობა, გარკვეულწილად, სოციალური მოძრაობის ელფერს ატარებდა. „პერესტროიკის“ ხანაში დაწყებული, საწყისი ეტაპისთვის მხოლოდ მცირერიცხოვანი, მაგრამ სულ უფრო და უფრო მზარდი სახალხო მოძრაობა რამდენიმე თემატიკას მოიცავდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგოდ და დავით გარეჯის ისტორიული ძეგლის დასაცავად მიმართული საზოგადოებრივი აქტივობები იყო. დავით გარეჯითა და ხუდონჰესით დაწყებულმა არაძალადობრივმა სამოქალაქო აქტივიზმმა (ან, თუნდაც, სოციალურმა მოძრაობამ), თანდათანობით პოლიტიკური ელფერი შეიძინა (ესეც არაა უცხო მოვლენა, იგივე არაბულ გაზაფხულს, თაქსიმინის და სხვა შემთხვევებს თუ გავიხსენებთ, როცა ფართომასშტაბიანი სოციალური მოძრაობები გარკვეული ფაქტორების და პირობების ფონზე საყოველთაო და ფართომასშტაბიან პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა) და, საბოლოო ჯამში, მძლავრ და მასობრივ ეროვნულ მოძრაობად გარდაიქმნა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო, სამოქალაქო აქტივიზმი, ძირითადად, მწვავე პოლიტიკური თემატიკით შემოიფარგლებოდა. ურთულესმა საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ, სამოქალაქო დაპირისპირებამ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა, მძიმე ეკონომიკურმა ფონმა და უმძიმესმა სოციალურმა და ყოფითმა პრობლემებმა ყველა სხვა თემატიკა და აქტივობა დაჩრდილა დ გადაფარა. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების წევრების ინტერესთა სფეროში არაპოლიტიკური თემატიკა, ისეთები, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, ისტო-

რიული ძეგლების და უბნების შენარჩუნება, აღდგენა-რესტავრაცია, გარემოს დაცვითი თემატიკა თუ დასაქმებულთა შრომითი პირობები და სოციალური მდგომარეობა - ხშირად ყურადღების მიღმა რჩებოდა. ყოველივე ამან, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარკვეულ სტაგნაციასაც შეუწყო ხელი.

მართალია, 2003 წლის მოვლენების შემდეგ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება აშკარად შეიმჩნეოდა, თუმცა, უკანასკნელ პერიოდამდე, აქტივობები, მეტწილად, მაინც არასამთავრობო ორგანიზაციებზე მოდიოდა და, შესაბამისად, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობის ხარისხიც არა/ან ნაკლებ შეიმჩნეოდა. არასამთავრობო სექტორის აქტიურობა, ძირითადად, საარჩევნო უფლებების, სიტყვის, აზრის თუ აღმსარებლობის თავისუფლების, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, პატიმრების უფლებების, სამართლებრივი და კონსტიტუციური თემატიკით იყო შემოფარგლული.

გარდამტეხი მიჯნა, თუ როდის მოხდა ტრანსფორმაცია და სამოქალაქო აქტივიზმის სფეროს გაფართოება, რთული საპოვნია. ამ კუთხით, ტრანსფორმაციის ორი მიმართულება შეგვიძლია გამოვყოთ.

ერთი მხრივ, აქტივიზმის სფეროს გაფართოება და ვიწრო, ე.წ „ენჯეოშნიკური“ საზღვრებიდან ფართო სამოქალაქო აქტივობამდე განვირცობა;

და მეორე, აქტივიზმის ისეთი თემატიკით გაფართოება, როგორიცაა, მაგალითად, გარემოსდაცვითი, ისტორიული, კულტურული და ა.შ.

რთულია ამ წყალგამყოფის გავლება, თუმცა, ფაქტია, რომ ამ ეტაპზე, სამოქალაქო აქტივიზმი სხვადასხვა სიძლიერით და სხვადასხვა თემატიკაზე, ასევე სხვადასხვა მასშტაბით - უცხო აღარაა საქართველოსთვის.

## **სოციალური მოძრაობების კლასიფიკაცია**

სოციალური აქტივობების კლასიფიკისას, როგორც წესი, გამოყოფენ ე.ნ. ურბანულ და არაურბანულ (რურა-ლურ) სოციალურ აქტივობებს. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული სოციალური აქტივიზმის რამდე-ნიმე ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოიყოს.

**1. ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა.** ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვისკენ მიმარ-თულმა მოძრაობებმა განვითარება ჰპოვა როგორც ურბა-ნულ, ასევე არაურბანულ ზონებში. კონკრეტულად კი, „გაა-მაგრე გუდიაშვილი“, „არა - პანორამას“, - ურბანული ტიპის მოძრაობებია, მაშინ როდესაც, საყდრისის ოქროს საბადოს დაცვის მიზნით განვითარებული მოძრაობა - არაურბანულ აქტივობას განეკუთვნება.

**2. გარემოსდაცვითი აქტივობები.** მოცემული მოძრა-ობების შემთხვევაშიც, ურბანულ-რურალური ტიპის მაგა-ლითებთან გვაქვს საქმე. მაგალითად, „დაიცავი ვაკის პარკი“ - ტიპური ურბანული მოძრაობაა, მაშინ, როდესაც, ხუდონ-ჰესის მშენებლობის ირგვლივ მიმდინარე პროცესები არაურ-ბანულ ზონას განეკუთვნება.

აქვე, მართებული იქნება აღინიშნოს, მიუხედავად იმი-სა, რომ არაურბანულ ზონებში განვითარებული მოძრაობე-ბის ორივე ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში (საყდრისის სა-ბადოები და ხუდონჰესის მშენებლობა) არაურბანული ტიპის შემთხვევებთან გვაქვს საქმე, მოცემული მიმართულებით განვითარებულ სამოქალაქო აქტივიზმში მნიშვნელოვან და, ხშირად, გადამწყვეტ როლს ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ურბანული ზონიდან ჩასული და მათ მიერ მობილი-ზებული აქტივისტები თამაშობენ.

**3. დაქირავებულთა უფლებების დაცვა.** დაქირავე-ბულთა უფლებებისთვის ბრძოლა მოცემული შემთხვევების-გან იმით გამოირჩევა - რომ ამ კუთხით დაწყებული მოძრაო-ბების აქტივისტები სწორედ ადგილობრივი მოსახლეობა და

კონკრეტულად, დასაქმებული მუშები არიან. მოცემული მოძრაობები აქტიურადაა მიმართული ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროებში მომუშავეთა უფლებების დასცავად, თუმცა, მოცემულ შემთხვევებშიც, ურბანული ზონის სამოქალაქო აქტივისტებისგან მხარდაჭერასაც დიდი მნიშვნელობა აკისრია.

საინტერესო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოში განვითარებული და ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი სოციალური მოძრაობები არ განეკუთვნება (ან წაკლებად განეკუთვნება) ცალსახად ერთი მიმართულების პრობლემატიკას. მათი უმრავლესობა კომპლექსური ტიპისაა. მაგალითად, საყდრისის საპადოს, როგორც ისტორიული ძეგლის დაცვის თემატიკას, პრაქტიკულად, თანაბარზომიერად ერთვის თან ოქროს მოპოვების შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური დაბინძურებისა და გარემოსდაცვითი კუთხით მიმართული თუ ელემენტარული უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის თემაც.

„პანორამა - თბილისიც“ ამ მხრივ კარგი მაგალითია. ერთი მხრივ, ძველი თბილისის ისტორიული ძველი უბნის დაცვა და, მეორე მხრივ, პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელ ეკოლოგიურ საფრთხეებზე აქცენტირება.

ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროებში დასაქმებულთა უფლებების დასაცავად მიმართული მოძრაობა, მართალია, ადამიანური რესურსების დაცვისკენაა მიმართული, თუმცა, ასევე პრობლემაა გარემოსდაცვითი კუთხით განხორცილებული უხეში დარღვევებიც.

ზოგადად, სამეცნიერო წრეებში სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბება-განვითარების სხვადასხვა თეორია არსებობს, მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ბილ მოიერის მიერ შემუშავებული ე.ნ. რვა საფეხურიანი მოდელი<sup>27</sup>,

<sup>27</sup> Moyer, Bill, McCallister, Joan..(2012) Doing Democracy: The MAP Model for Organizing Social Movements, New Society Publishers, p. 24

რომელიც სხვადასხვა სოციალურ მოძრაობას სწორედ მო-  
ცემულ თეორიულ ჭრილში განიხილავს.

ჩვენ შევეცდებით აღნიშნული 8 საფეხურიანი განვითა-  
რების მოდელი საქართველოში ბოლო წლების მანძილზე  
განვითარებული ორი შედარებით უფრო ფართომასშტაბია-  
ნი სოციალური მოძრაობის მაგალითზე მოკლედ მიმოვიხი-  
ლოთ. ერთი, ესაა ხუდონჰესი, როგორც არაურბანული და  
გარემოსდაცვითი მოძრაობა და მეორე, გუდიაშვილის სკვე-  
რის შემთხვევა, როგორც კულტურულ მემკვიდრეობის დაც-  
ვაზე ორიენტირებული ურბანული ტიპის მოძრაობა.

### **ხუდონჰესის შემთხვევა**

გარემოსდაცვითი თემატიკა თანამედროვე პერიოდის  
საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ინტერესის  
ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა.

ხუდონჰესის მშენებლობის თემა არ არის ახალი. საქარ-  
თველოს უკანასკნელი პერიოდის ისტორიაში, სხვადასხვა  
პოლიტიკური რეჟიმის, ხელისუფლებისა და ეკონომიკურ-  
სოციალური ფონის პირობებში, აღნიშნული პრობლემა არა-  
ერთხელ გახდა აქტუალური.

ხუდონჰესის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ საბჭოთა  
ხელისუფლების პერიოდში გაჩნდა და მაშინაც, ამ იდეამ სა-  
ზოგადოების დიდ ნაწილში უარყოფითი გამოხმაურება გა-  
მოიწვია. ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ დაწყებული  
აქციები, რომელსაც სათავეში ზურაბ უვანია და მწვანეთა  
მოძრაობა ედგა, 1980-იანი წლების საქართველოში დაწყებუ-  
ლი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი  
მახასიათებელია. ცალკე უნდა აღინიშნოს მაშინდელი სამეც-  
ნიერო წრეების წარმომადგენელთა აქტივობაც, რომელთა  
დიდი ნაწილიც ყურადღებას ხუდონის მშენებლობის მოსა-  
ლოდნელ ნეგატიურ შედეგებზე ამახვილებდა (თუმცა, მეც-  
ნიერთა ნაწილი პირიქით, მოცემული მშენებლობისადმი და-  
დებითად იყო განწყობილი). ხუდონჰესის საწინააღმდეგოდ  
მიმართულმა ფართო საზოგადოებრივმა კამპანიამ და ამას-

თან, საბჭოთა კავშირში განვითარებული მოვლენების შედე-  
გად საბჭოეთის დაშლამ, ხელი შეუშალა მოცემული იდეის  
რეალიზაციას. პუდონის თემაზე საუბარი კვლავ განახლდა  
2000-იან წლებში, როდესაც მ. სააკაშვილის ხელისუფლების  
პერიოდში რამდენჯერმე მოხდა ხუდონის მშენებლობის იდე-  
ის წინ წამოწევა და პროექტის გადახედვა.

თუმცა, საზოგადოება მას შემდეგ გააქტიურდა, რაც  
2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მაშინდელმა ხელისუფ-  
ლებამ სიმბოლურ ფასად - 1 დოლარად ჰესის მშენებლობის  
ნებართვა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1500  
ჰექტარი მიწა (აქედან 1100 ჰექტარი ტყის მასივი) უცხოურ  
კომპანია „ტრანსლექტრიკას“ გადასცა. შესაბამისად, მშე-  
ნებლობის დასაწყებად უკვე კონკრეტული ნაბიჯების გა-  
დადგმა იქნა დაგეგმილი. საქართველოში არსებულმა გარე-  
მოსდაცვითმა ორგანიზაციებმა (მათ შორის საქართველოს  
მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები, მწვანეთა პარ-  
ტია) და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა  
ექსპერტმა ხუდონის მშენებლობასთან დაკავშირებით საკუ-  
თარი, საკმაოდ კრიტიკული შეხედულებები გამოთქვეს. მეო-  
რე მხრივ, სოფ. ხაიშში მცხოვრებმა ადგილობრივმა მოსახ-  
ლეობამ და საზოგადოების საკმაო ნაწილმა ცალსახად მწვა-  
ვე და რადიკალური პოზიცია დაიკავა, რისი ერთ-ერთი გამო-  
ხატულებაცაა საზოგადოებრივი აქტივობა - აქციათა ციკლი  
„არა ხუდონჰესს“.

ხუდონჰესის შემთხვევა რამდენიმე ასპექტითაა გა-  
მორჩეული:

1. რეგიონისთვის დამახასიათებელია სპეციფიური სო-  
ციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; საქართველოს ერთ-  
ერთ ყველაზე მაღალმთიან დასახლებულ მხარეში ეკონომი-  
კური საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობა და  
მესაქონლეობაა. დაბა ხაიშში, ისევე როგორც მთელ სვანეთ-  
ში, მოსახლეობისთვის უმთავრეს შემოსავლის წყაროს ხე-  
ტყის ათვისება წარმოადგენს. არ მოქმედებს პრაქტიკულად  
არცერთი საწარმო ან მცირე ზომის ქარხანა. გარკვეული შე-

მოსავლის წყაროა ტურიზმიც, რომელიც რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სეზონური ხასიათისაა და ძირითადად, წელიწადში მხოლოდ 3-4 თვე გრძელდება.

2. გარემოსდაცვითი პრობლემების გარდა, წინ წამონავს ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების საკითხი - ჰესის მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, ხაიშში დასატბორი ორივე ტაძარი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

3. საკითხის პოლიტიკური მხარე. არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სვანეთის მოსახლეობას ხუდონპესის მშენებლობის შეჩერებას ჰპირდებოდა;

„სეისმურობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, დიდი ჰესებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვა; ენერგიის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენების ხელშეწყობა, მოსახლეობაში ამ სახის ინდივიდუალური სისტემების გავრცელების მხარდაჭერა, ენერგოეფექტიანობის გაზრდისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების განხორციელება; ქვეყანაში ელექტროენერგიის მოთხოვნის ზრდისა და თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით, მიკრო და მცირე ჰესების მშენებლობის, აგრეთვე არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის ხელშეწყობა“<sup>28</sup> - ნათქვამია 2012 წლის „ბლოკ ბიძინა ივანიშვილი-ქართული

<sup>28</sup> „ბლოკ ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა“, გვ.55 [36](https://www.scribd.com/doc/104513449/%E1%83%91%E1%83%9A%E1-83%9D%E1%83%99-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83-9C%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E-1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A5%E1%-83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%-9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%-83%95%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%-83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90 ნანახია (19.08.2015)</p></div><div data-bbox=)

ოცნების წინასაარჩევნო პროგრამაში“ . ამას გარდა, წინასაარჩევნო პერიოდში სვანეთის მოსახლეობასთან შეხვედრებისას, ქართული ოცნების ლიდერები ამომრჩევლებს ჰპირდებოდნენ, რომ შეაჩერებდნენ კონკრეტულად ხუდონპესის პროექტს და „ენერგეტიკას ხალხის ხარჯზე არ მიიღებდნენ“<sup>29</sup>.

4. განსაკუთრებით აქტიურია არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების ჩართულობა. მოცემული შემთხვევა ქართულ საჯარო სივრცეში გამორჩეულია იმითაც, რომ სამოქალაქო სექტორის და მოსახლეობის საკმაოდ ფართო სპექტრი (და არა მხოლოდ მწვანე პრობლემატიკით დაკავებული ორგანიზაციები) აქტიურად არიან ჩართული აღნიშნულ პროცესებში.

5. სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ჩართულობა და დაპირისპირებულ შეხედულებათა არსებობა. ჰუდონპესის იდეის გაჩენისთანავე მისი მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხი სამეცნიერო წრეებში განსჯის და დავის საგანი გახდა. არცთუ ადვილად უგულვებელსაყოფელი სამეცნიერო არგუმენტები საკმაო არსებობდა (და არსებობს) როგორც მშენებლობის მომხრე, ასევე მის მოწინააღმდეგე მეცნიერთა შორის.

6. იკვეთება პოლიტიკური და ბიზნეს წრეების ინტერესების თანხვედრა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რიტორიკა ხუდონპესთან მიმართებაში რადიკალურად იცვლება. „ვიცით დასაბამიდან, პოლიტიკოსები იყვნენ თუ ენჯენერები, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან უყურებდნენ ყველაფერს. ჩვენ თავს ვწირავთ ამ შემთხვევაში. ყველაზე იოლია ახლა გამოვიდე და ვთქვა - არა, ჩვენ ბუნებას ვუფრთხილდებით, არ გვინდა ჰესი. კახი კალაძეც გამოვა და დაიწერს ქულებს. ეს პოლიტიკანობა ვერ ააშენებს ქვეყანას, ვერ წავალთ წინ, ჩვენ ჩვენი რესურსები უნდა გამოვიყენოთ, ხუდონი გამოსაყენებელია“-

<sup>29</sup> მაღალდაძე ე, „ხუდონპესი - 35-წლიანი დილემა“, 1 ოქტომბერი, 2013, <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/116513/> ნანახია (25.07.2015)

განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წელს<sup>30</sup>. მსგავსი ტიპის მოსაზრებები ენერგეტიკის მინისტრმაც არაერთხელ გა- მოთქვა. მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხუდო- ნის, როგორც ეკონომიკური კუთხით უაღრესად მომგებიანი და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა თუ დამოუკიდებლობის პოტენციალის მნიშვნელოვნად გაზრდისთვის აუცილებელი პროექტის განხორციელების საკითხის წინ წამოწევა, მოსახ- ლეობაში პოლიტიკური და ბიზნეს წრეების ურთიერთკავში- რის შესახებ გარკვეული ეჭვების საფუძვლებს წარმოშობს.

## გუდიაშვილის სკვერის შემთხვევა

გუდიაშვილის სკვერის დასაცავად მიმართული მოძრა- ობა ურბანულ სივრცეში განვითარებულ მეტად საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს.

2007 წელს თბილისის მთავრობამ გუდიაშვილის სკვე- რის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები რეაბილი- ტაციის მიზნით „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და გან- ვითარების ფონდს“ გადასცა. საზოგადოებისთვის უცნობი მიზეზებით სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების დაგ- ვიანების ფონზე, გაურკვევლობა და ეჭვები გუდიაშვილის სკვერთან დაკავშირებით მას შემდეგ კიდევ უფრო გამყარ- და, როდესაც 2011 წელს ავსტრიული კომპანიის „Magnat Real Estate“-ის ადგილობრივი პარტნიორის „ირაო მაგნატ გუდი- აშვილისთვის“ სკვერში სარეაბილიტაციო სამუშაოების გან- ხორციელების უფლების გადაცემა მოხდა. მერიის მიერ გა- მოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული გუდიაშვილის სკვერის რეაბილიტაციის პროექტი კი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ხელოვნებათმცოდნეებისა და არქიტექ- ტორთა დიდი ნაწილისთვის, ასევე კულტურული მემკვიდრე-

<sup>30</sup> „ივანიშვილი ხუდონპესზე: გრანტებზე დამსხდარი ხალხი ცდილობს იქ სიტუაციის არვას“, 17 ოქტომბერი, 2013,

<http://www.tabula.ge/ge/story/75963-ivanishvili-xudonhesze-grantebze-damsxdari-xalxi-cdilobs-iq-situaciis-arevas> ნანახია (23.07.2015)

ობისა და ისტორიული ძეგლების დაცვის თემატიკით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რიგითი მოქალაქეებისთვისაც.

2011 წლის 24 დეკემბერს გუდიაშვილის სკვერში ჩატარებული აქცია სახელწოდებით „მანიფესტი, როგორც მანიფესტი“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქრისა“ და მოქალაქეთა მიერ სოციალური ქსელებით ორგანიზებულ გუდიაშვილის სკვერის გადასარჩენად მიმართულ საპროტესტო აქციათა („გაამაგრე გუდიაშვილი“) პერმანენტულ ტალღას უდებს საფუძველს.

გუდიაშვილის სკვერის დასაცავად მიმართულმა სამოქალაქო აქტივიზმმა წმინდა აპოლიტიკური, მშვიდობიანი ხასიათის გამო, მოკლე პერიოდში საზოგადოების ფართო მხარდაჭერა მოიპოვა და საწყისი პერიოდიდან ბოლომდე, მთლიანად ეფუძნებოდა ქართული რეალობისთვის თვისებრივად ახალი ტიპის აქციათა ციკლს: გამოფენა-გაყიდვებით, კონცერტებითა და სხვადასხვა კულტურული სახის ღონისძიებით გამოხატულ პროტესტი.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერია გუდიაშვილის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის უცხოელი ინვესტორისთვის გადაცემას ოფიციალურად უარყოფდა და 2011 წელს აცხადებდა, რომ „მერიას არ გაუსხვისებია და არც მოხდება აღნიშნული ტერიტორიის გასხვისება“<sup>31</sup> — რეალობა სხვაგვარი იყო. სადაო ტერიტორიაზე დემონტაჟითი და სხვა, არცთუ მკაფიოდ გამოკვეთილი ტიპის სამუშაოები არაერთი ოფიციალური განცხადების მიუხედავად მაინც მიმდინარეობდა.

<sup>31</sup> გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია, 20.12.2011,  
<http://new.tbilisi.gov.ge/news/512> ნანახია (15.06.2015)

## სოციალური მოძრაობის საფეხურები

ჩვენს მიერ პილ მოიერისა და ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ზემოთ ნახსენები სოციალური მოძრაობების განვითარების ე.წ. რვასაფეხურიანი მოდელი გათვლილია ანალიზზე, რომელიც მოიცავს პერიოდს აქტივისტთა ბრძოლის დაწყებიდან მათ მიერ დასახული მიზნის მიღწევამდე. მოდელი ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული მოძრაობების ინდივიდუალურიდან - კოლექტიურამდე და მარგინალურიდან - ფართო საზოგადოებრივ დონეებამდე ტრანსფორმაციაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიზნის მიღწევა, რიგ შემთხვევაში, ვერ ხერხდება და, შესაბამისად, სოციალური მოძრაობები მოცემული რვა საფეხურიდან, ხშირად, მხოლოდ ნაწილს გადიან. შესაძლებელია ისიც, რომ ეს მოძრაობები მარგინალობის საზღვრებს ვერ გასცდნენ და ვიწრო ინდივიდუალური სამოქალაქო აქტივიზმით შემოიფარგლონ. მოიერის მიერ შემოთავაზებული მოდელის უპირატესობა, ამავე დროს, იმაში მდგომარეობს, რომ მასში განხილულია ინტერესთა ფართო სპექტრი და მათი ურთიერმიმართება. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების, მოქალაქეთა ჯგუფების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ბიზნეს ინტერესების ინტერაქცია. შესაბამისად, მოცემული მოდელის უპირატესობად გვესახება ის ფაქტი, რომ იგი სურათის სხვადასხვა პერსპექტივიდან აღქმის და ემპირიული მონაცემების სისტემატური გაანალიზების უფრო მეტ საშუალებას გვთავაზობს.

იმდენად, რამდენადაც უკანასკნელი პერიოდის საქართველოს საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში განვითარებული სამოქალაქო აქტივიზმის მეტ-ნაკლებად ყველაზე მასშტაბურ მაგალითებად სწორედ ზემოთ განხილული ხუდონჰესისა და გუდიაშვილის სკვერის შემთხვევები მიგვაჩნია<sup>32</sup>, შე-

<sup>32</sup> აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიზანმიმართული და ფართო სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი შემთხვევაა საყდრის-ყაჩალიანის ისტორიული ოქროს საბადოს ირგვლივ განვითარებული აქტივობები. თუმცა, მოცემულ სტატიაში მისი განხილვა ჩვენს მიზნებში არ შედის.

ვეცდებით მოცემული მოდელის ჭრილში გავაანალიზოთ ორივე შემთხვევაში განხორციელებული სამოქალაქო აქტი-ვიზმი და მისი შედეგები.

აღნიშნული მოდელის პირველი საფეხური გულის-ხმობს ე.ნ. „სიმშვიდის პერიოდს“. პერიოდს, როდესაც სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით გარკვეულ „პრობლემურ“ საკითხზე საზოგადოებაში სიმშვიდეა. მოცემულ საფეხურს მოსდევს მოიერის მიერ „ოფიციალური ინსტიტუტების“ მარცხად წოდებული საფეხური, როდესაც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები სასამართლო პროცესებში გამარჯვების მეშვეობით ახერხებენ „ხელისუფლების დამარცხებას“. თუმცა, ხშირად ეს დამარცხება დროებითია და ხელისუფლება სხვადასხვა ლეგიტიმური გზით ცდილობს სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის „გვერდის ავლას“.

პირველი ორი საფეხური საქართველოს მაგალითზე განხილულ სოციალურ მოძრაობებს, მოცემული სახით, პრაქტიკულად, ვერ/არ გაუვლიათ. ხუდონპესის შემთხვევაში, ჰესის მშენებლობაზე განაცხადის გაკეთება საბჭოთა პერიოდში მოხდა. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საზოგადოება, არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემა მოქალაქეების მხრიდან ნებისმიერი პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობასაც, პრაქტიკულად, გამორიცხავდა. მხოლოდ 1980-იან წლებში დაწყებულმა „პერესტროიკის“ პროცესშა გახადა შესაძლებელი მოსახლეობის მიერ მოცემული მშენებლობის საწინააღმდეგოდ მძლავრი საპროტესტო მოძრაობის დაწყება. ოფიციალური ინსტიტუტების მარცხი და ჰესის მშენებლობის შეჩერება კი, თავისთავად, არა სასამართლო პროცესების წაგებამ ან სამოქალაქო აქტივიზმმა გამოიწვია, არამედ 1990-იან წლებში საბჭოების დაშლამ პროექტის განხორციელების იდეა რამდენიმე ათეული წლით გადასწია.

შემდეგი საფეხურებია: სიმწიფის პერიოდი, აღმაფრენის ხანა და მარცხის აღქმა. მოცემული კუთხითაც საქართველოში განვითარებული სამოქალაქო აქტივიზმი გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს. ხუდონის მშენებლობის

საწინააღმდეგოდ მიმართული აქტივიზმი ხელისუფლებისა და ინვესტორის მხრიდან გააქტიურების ფონზე, პერიოდული ინტენსივობით იჩენს თავს. პრაქტიკულად, ეს არის აღბათ ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივად გადაუწყვეტი და მოუგვარებელი თემა (დაახლოებით 35 წელია, პერიოდულად აქტიურდება ხუდონის თემა) საქართველოს საჯარო-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სივრცეში.

რაც შეეხება გუდიაშვილის სკვერის შემთხვევას, რომ არა ხელისუფლებისა და, შესაბამისად, პოლიტიკური ნების შეცვლა, ძნელია საუბარი იმაზე, პერმანენტული აქციები გამოიღებდა თუ არა შედეგს. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რეალურად, 2011-2012 წლებში ხელისუფლება არ აპირებდა სამოქალაქო სექტორის აქტივობის მიუხედავად გადაწყვეტილების შეცვლას, „მარცხი“, აღბათ, გარდაუვალი იყო.

საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა - ბილ მოიერის მოდელის მექენიზმის და ჩვენს მიერ განხილულ სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევებში, აღბათ, ყველაზე აშკარა და თვალშისაცემი საფეხურია. ხუდონპესის მშენებლობის საწინააღმდეგოდ და გუდიაშვილის სკვერის დასაცავად მიმართული მოძრაობები ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც კარგად ჩანს კიდეც აქციათა პერიოდულ, თუმცა რეგულარულ ხასიათში. 2011 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა სიმძლავრითა და მასშტაბებით, თუმცა მუდმივად არსებობს ამ მხრივ მიმართული სხვადასხვა სახით გამოხატული საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

წარმატების ეტაპი - ბილ მოიერის მიერ შემოთავაზებულ ეტაპებს შორის ბოლოს წინა საფეხურია და გულისხმობს საზოგადოებრივი მხარდაჭერის შედეგად, ოფიციალური ინსტიტუტების თუ ბიზნეს წრეების უკან დახევასა და სოციალური მოძრაობის წარმატებას. ხუდონპესის შემთხვევაში, მოცემული ეტაპის ცალმხრივად განხილვა შეუძლებელია. ჰესის მშენებლობის საკითხი, ამ ეტაპზე, კვლავაც გაურკვეველ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, ხელისუფლება ცალსახად არ აპირებს პოზიციის შეცვლას და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე აპელირების პარალელურად, გამო-

რიცხავს ჰესის მშენებლობაზე უარის თქმას. მეორე მხრივ, ხაიშის თემის მოსახლეობა და სამოქალაქო სექტორის სხვა-დასხვა წარმომადგენელი, მშენებლობის დაწყების შემთხვევაში, აქციათა ციკლის „არა - ხუდონჰესს“ უფრო მძლავრი მასშტაბებით გაგრძელებას გეგმავს. შესაბამისად, ამ კუთხით განვითარებულ სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითზე, ვერ ვისაუბრებთ ვერცერთი მხარის წარმატებაზე.

განსხვავებული სიტუაცია გუდიაშვილის სკვერთან მიმართებით. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინარე პერიოდში, საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით გამოასწორებდა ნაციონალური ხელისუფლების შეცდომებს და ამ კუთხით, პოლიტიკას ახალ მიდგომებზე დააფუძნებდა. თუმცა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვების მიუხედავად, გუდიაშვილის სკვერის საკითხი კვლავ ღიად რჩება. გარდამტები მიჯნა მოცემულ საკითხში თბილისის მერის 2014 წლის არჩევნები აღმოჩნდა. მერობის კანდიდატი, დავით წარმანია პირადად შეხვდა აქციის მონაწილეებს და გამარჯვების შემთხვევაში გუდიაშვილის სკვერის საკითხის მოგვარებას დაჰპირდა. საბოლოო ჯამში, დ. წარმანიას მიერ თბილისის მერის პოსტის დაკავების და გუდიაშვილის სკვერთან მიმართებით ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლის შედეგად, ხელისუფლებამ გუდიაშვილზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კონკურსი გამოაცხადა ე.წ. საკონსერვაციო გეგმაზე. საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მშვიდობიანმა სამოქალაქო აქტივიზმმა შედეგი გამოიღო და ქალაქმა დაინუყმის მსგავსი ტიპის დოკუმენტზე მუშაობა. მოცემული კონცეფციის შემუშავება საშუალებას მოგვცემს, თვალნათლივ გამოჩნდეს, თუ კომპლექსურად (და არა მხოლოდ ცალკეულ სახლზე) როგორ უნდა წარიმართოს სამუშაოები<sup>33</sup>. მნიშვნელოვანი მარტინ გურიაშვილი მართვის მინისტრი და საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელებას 30 სახლზე,

<sup>33</sup> სარესტავრაციო პროექტების კონკურსი ითვალისწინებდა სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელებას 30 სახლზე,

ლოვანია ისიც, რომ კონკურსში გამარჯვებული კომპანია “იკომოს საქართველო”, სკვერის დასაცავად წარმართულ აქციათა ორგანიზატორ სამოქალაქო სექტორში საკმაოდ დიდი ნდობით სარგებლობს.

და ბოლო, ბრძოლის გაგრძელების საფეხური, რომელიც მოიერისეულ მოდელში მიღწეული წარმატების მუდმივ კონტროლსა და ზედამხედველობის განხორცილებას გულისხმობს. მიუხედავად მიღწეული გამარჯვებისა, გუდიაშვილის სკვერის დამცველი აქტივისტებიც, კვლავ გეგმავენ სამუშაოების დაწყების შემთხვევაში თვალი ადევნონ კონკურსის პირობების შესრულებასა და ზედმინევნით განხორციელებას.

## დასკვნა

ჩვენ მიერ განხილული მაგალითების შეჯამებისას, შესაძლებელია რამდენიმე ასპექტის გამოყოფა:

- საქართველოში უკანასაკნელ პერიოდში განვითარებული სამოქალაქო აქტივიზმის გამოვლინების შემთხვევათა უმრავლესობა არ მოიცავს მხოლოდ ერთ პრობლემურ ასპექტს და კულტურულ-ისტორიული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი თუ სოციალური პრობლემატიკის სხვადასხვა თემასაც გულისხმობს. ამ მხრივ, გუდიაშვილის სკვერის მაგალითი ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც ძირითადად, მხოლოდ ისტორიულ-კულტურული თემატიკითაა შემოსაზღვრული;

- ორივე შემთხვევაში, ხუდონპენსისა და გუდიაშვილის სკვერის ირგვლივ განვითარებულ სამოქალაქო აქტივიზმის საპირისპირო მხარეს სახელმწიფო და კერძო სექტორის ბიზნეს ინტერესები წარმოადგენს. მეორე შემთხვევაში, ბიზნეს ინტერესებისა და სახელმწიფო ინტერესების კვეთა ვერ აღმოჩნდა იმდენად მძლავრი, რომ ფართოდ გაშლილ აქტივიზ-

---

რომელთაგან 11 შენობა - წაგებობა სწორედ გუდიაშვილის სკვერში მდებარეობს.

მი დაეძლია, რასაც ხელისუფლების ცვლილებამაც დიდად შეუწყო ხელი. ამისგან განსხვავებით, ხუდონის შემთხვევაში, კერძო ინვესტორისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების პმა იმდენად მჭიდრო აღმოჩნდა, რომ მიუხედავად წინასაარჩევნო დაპირებებისა (2012 წელი), ხელისუფლება არ აპირებს ხუდონპესის იდეაზე უარის თქმას და, შესაბამისად, სახელმწიფოსთვის პოტენციური ეკონომიკური ზრდისა და ენერგო დამოუკიდებლობის მოპოვების შანსის დაკარგვას. ცალკე მსჯელობის თემაა, თუ რამდენად მომგებიანი იქნება დაგეგმილი მშენებლობა ქვეყნისთვის და რა საფრთხეების შემცველია იგი. მოცემული თემის განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს და ცალკე კვლევის საკითხია.

• ხუდონისა და გუდიაშვილის სკვერის მაგალითზე განხილული სოციალური მოძრაობები ბოლომდე არ ესადაგებიან ბილ მოიერის მიერ შემოთავაზებულ სოციალური აქტივიზმის რვასაფეხურიან მოდელს. თითოეულმა მოცემულმა მოძრაობამ განვითარების განსხვავებული საფეხურები განსხვავებული ინტენსივობითა და, ამ ეტაპზე, განსხვავებული შედეგებით გაიარა.

საბოლოო ჯამში, ცალსახად შეგვიძლია იმის თქმა, რომ საქართველოს რეალობაში სოციალური მოძრაობების შედარებითი სიახლისა, რამდენიმე შემთხვევაში მოქალაქეთა მიერ გამოვლენილმა მძლავრმა სამოქალაქო აქტივიზმმა შედეგი გამოიღო და წარმატებას (დროებითს თუ საბოლოოს) მაინც მიაღწია.

*Salome Dundua  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **SOME ASPECTS OF CONTEMPORARY GEORGIA'S SOCIAL MOVEMENTS**

Studying social movements in Georgia is a relatively new thing, but it is a popular practice in Western scientific circles. After the collapse of Soviet Union the main field of civil activity was limited to politics in Georgia. It is quite difficult to find the turning point of the transformation of the spheres of civil activism. While classifying social movements we could outline so called urban and non-urban (rural) social activism. In latest development of social activism in Georgia we can distinguish some main directions: 1. Protection of historical and cultural monuments 2. Environmental activities 3. Protection of employees' rights. In this article we are discussing two main examples of civil activism in Georgia: cases of Khudoni and Gudiashvili Square. The first is an example of environmental movement. And the second is one of the most successful movements for the protection of cultural and historical monuments in the oldest district in Tbilisi.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Moyer, Bill, McCallister, Joan..(2012) Doing Democracy: The MAP Model for Organizing Social Movements, New Society Publishers
2. ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა“, [http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/116513/](https://www.scribd.com/doc/104513449/%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%99-E1%83%-91%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%9C%E-1%83%90-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83-%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%-E1%83%9A%E1%83%98-E1%83%A5%E1%83%90%E1%83-%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1-%83%91%E1%83%98%E1%83%A1-1%83%A1%E1%83%9-0%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1-%83%95%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%9E-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1-%83%90%E1%83%9B%E1%83%90 ნანახია 19.08.2015</li><li>3. მაღალდაძე ე, „ჰუდონჰესი - 35-წლიანი დილემა“, 1 ოქტომბერი, 2013, <a href=) ნანახია 25.07.2015
4. „ივანიშვილი ჰუდონჰესზე: გრანტებზე დამსხდარი ხალხი ცდილობს იქ სიტუაციის არევას,“ 17 ოქტომბერი, 2013, <http://www.tabula.ge/ge/story/75963-ivanishvili-xudonhesze-grantebze-damsxdari-xalxi-cdilobs-iq-situaciis-arevas> ნანახია 23.07.2015
5. გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია, 20.12.2011, <http://new.tbilisi.gov.ge/news/512> ნანახია 15.06.2015

## **ქეთევან კუხიანიძე აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

---

### **მოხალისეობა საქართველოში: რეალობა და გამოცვები**

მოხალისეობა მრავალმხრივი ფენომენია. მოხალისეობრივი საქმიანობის არსებობა ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების არსებითი მახასიათებელია. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მოხალისეობის კულტურა ძალიან აქტიურად არის განვითარებული და მის მიზანს სხვების დახმარების სურვილი, შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც 2001 წელი “მოხალისეობის საერთაშორისო წლად” გამოცხადდა. მსოფლიოს მასშტაბით ხელისუფლებებმა მოხალისეობის სფეროს რეგულირებისათვის კანონებისა და პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა დაისახეს მიზნად. მათ შეიმუშავეს სამოცდაათზე მეტი ახალი კანონი და პოლიტიკური კურსი, რომელიც განსაზღვრავდა მოხალისის ან მოხალისეობის ცნებას და არეგულირებდა მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სამწუხაროდ საქართველო ამ ქვეყნებს შორის არ აღმოჩნდა.

საქართველოში მოხალისეობა ჯერ კიდევ ახალი ინსტიტუტია. სოციალური გარემო, კანონმდებლობის არქონა მნიშვნელოვნად აფერხებს მოხალისეობის კულტურის განვითარებას. საქართველო მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დემოკრატიულ ქვეყნებს.

წინამდებარე სტატიის მიზანია გაანალიზოს საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტი და შეადაროს ერთმანეთს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სტატიისტიკური მონაცემები.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მოხალისეობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თავისი შინაარსიდან გამომდინარე „მოხალისეობა“ აღტრუისტურ აქტივობად ითვლება და მიმართულია სიკეთის წახალისებასა და ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისკენ.

მოხალისეობის არს თუკი ჩავწედებით დავინახავთ, რომ აღნიშნული აქტივობა თითოეულ ინდივიდში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას და საკუთრების გრძნობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ხშირად ისმის შეკითხვა, თუ რას ნიშნავს მოხალისეობა და რა დატვირთვა აქვს მას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში ?

მოხალისეობრივ საქმიანობას განიხილავენ როგორც თავისუფალი ნების საფუძველზე არამატერიალური დაინტერესებით განხორციელებულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია საზოგადოების სასიკეთოდ და აქტუალური სოციალური პრობლემის გადაწყვეტისკენ.<sup>34</sup>

ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს მოხალისეობას შრომითი საქმიანობიდან ის არის, რომ მისი განხორციელებისთვის პიროვნება არ ღებულობს ფულად ან სხვა სახის ანაზღაურებას ხელფასის ან პონორარის სახით, ანუ გარკვეული სამუშაო სრულდება საზოგადოებრივი სარგებლისათვის. თუმცა აღნიშნული არ უნდა გავიგოთ იმდაგვარად, რომ მოხალისე შემოიფარგლება მხოლოდ სხვებზე ზრუნვისგან მიღებული სიამოვნებით, არამედ მოცემული აქტივობა ხელს უწყობს სოციალურ პრობლემების გადაწყვეტის პროცესში საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, თვითრეალიზებას და ისეთი უნარ-ჩვევების გაღვივებას, რაც მათ ეხმარებათ კარიერულ წინსვლასა და პიროვნულ განვითარებაში.<sup>35</sup>

<sup>34</sup> ვოიცეკი პ. კრუპა ი. (2011) მოხალისეობის მენეჯმენტი [http://epfound.ge/files/manual\\_on\\_volunteer\\_management\\_for\\_cso.pdf](http://epfound.ge/files/manual_on_volunteer_management_for_cso.pdf) ნანახია 26.06. 2015

<sup>35</sup> რა არის მოხალისეობა? <http://volunteering.ge/index.php/2014-03-24-12-31-51/140> ნანახია 15.06.2015

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა მოხალისეობას განმარტავს იმდაგვარად, რომ წინ აყენებს თავისუფალი ნების საფუძველზე შესრულებულ ფართო სპექტრის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, რომლის განხორციელების უპირველეს მიზანს არ წარმოადგენს ფულადი ანაზღაურების მიღება. მსგავსად გაეროს მიერ მოცემული განმარტებისა, თითქმის ანალოგიური მნიშვნელობის არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და ევროპარლამენტის დეფინიციები იმ განსხვავებით, რომ მოხალისეობრივად არ ითვლება საქმიანობა განხორციელებული ოჯახის წევრებისა და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავების სასარგებლოდ, პირველ შემთხვევაში, და ოჯახის წვერებისა და მეგობრებისათვის, მეორე შემთხვევაში.<sup>36</sup>

ტენდენცია, რაც შესამჩნევია თანამედროვე ევროპის ქვეყებში, ნათელს ხდის, რომ მოხალისეებად ძირითადად პენსიონერები და ახალგაზრდები არიან წარმოდგენილნი. საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფა ახსნილია იმით, რომ თუ ახალგაზრდები ცოდნას, გამოცდილებას, დახმარების უნარ-ჩვევებს, ახალ კონტაქტებს მოხალისეობრივი საქმიანობით იძენენ, პენსიაში გასული ადამიანები თავად გადასცემენ სხვებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და სხავადასხვა უნარებს.

წარსულში მოხალისეობა დაკავშირებული იყო რელიგიურ და საქველმოქმედო საქმიანობასთან, ხოლო საბჭოთა კავშირის პერიოდში მოხალისეობის ინსტიტუტი კომუნისტური იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც, ფაქტობრივად, საკუთარი ნების გამოხატვის გარეშე იძულებით, ან სავალდებულო შრომას გულისხმობდა.

თანამედროვე საზოგადოებაში მოხალისეობრივი საქმიანობა გულისხმობს ისეთ სფეროებში აქტივობის განხორ-

<sup>36</sup> ნაცვლიშვილი ვ. (2011) მოხალისეობა—საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო [http://www.civilin.org/pdf/CSI\\_Research\\_Volunteerism.pdf](http://www.civilin.org/pdf/CSI_Research_Volunteerism.pdf) ნაახია 15.06.2015

ციელებას, როგორიცაა ეკოლოგია, სოციალური სფერო, ადამიანის უფლებები და სხვა.

სწორედ ამიტომ, მოხალისეობა, მეტ-ნაკლებად სახელ-მწიფოს, მაგრამ უმეტესად არამომგებიანი სექტორის საქმი-ანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მის გარეშე ვერ იარსებებდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მრავალი აქტივობა. ყოველ-გვარი ანაზღაურების გარეშე მომუშავე მოხალისეები ამცი-რებენ პერსონალის შენახვისა და პროგრამის განხორციელე-ბის ხარჯებს.

თუკი გადავხედავთ ევროპის ქვეყნების მიდგომებს მო-ხალისეობრივი საქმიანობის მიმართ, დავინახავთ თუ როგო-რი მნიშვნელოვანია მათვის მოხალისეობაზე დამყარებული საქმიანობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ევროპის საბჭოს გე-ნერალურმა ასამბლეამ 2001 წელი მოხალისეობის საერთაშო-რისო წლად გამოაცხადა და ერთგვარი რეკომენდაცია გაუწია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, „გამოავლინონ და აღმოფხვრან ყველა ხელის შემშლელი ფაქტორი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აფერხებს მოხალისეობის განვი-თარებას“ და მიანიჭონ მოხალისეებს სამართლებრივი სტა-ტუსი და სოციალური დაცვის ადეკვატური გარანტიები.<sup>37</sup>

თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით მთავრობებმა მოხალისეობის სფეროს რეგულირებისათვის კანონებისა და პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა აღიარეს. ცენტრა-ლურ და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებს ერთის მხრივ მოუწიათ უკვე ამოქმედებულ კანონებში მოხალისეო-ბის შესახებ ცვლილებების შეტანა, ხოლო დანარჩენი ქვეყნე-ბის უმეტესობას მოხალისეობის შესახებ ახალი კანონის შე-მუშავება.

მიუხედავად განსხვავებებისა, შეიძლება გამოვყოთ არ-სებითი საკითხები, რომლებიც მეტნაკლებად მოწესრიგებუ-ლია ამ კანონებით:

<sup>37</sup> Council of Europe Recommendation No (94)4 of the Committee of Ministers of Members States on Promotion of Voluntary Service

მოხალისის ცნება (დეფინიცია);

განმარტება და ჩამონათვალი ე.წ მასპინძელი ორგანიზაციებისა, რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ მოხალისეთა შრომა; ასეთი ორგანიზაციის უფლება—მოვალეობები მოხალისეთა წინაშე;

მოხალისეთა უფლებები და მოვალეობები;

მოხალისის პასუხისმგებლობის სახე და პირობები;

მოხალისეობის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი.<sup>38</sup>

ზემოთ ხსენებული ე.წ. მასპინძელ ორგანიზაციებად მიიჩნევა არასამეწარმეო, სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე საგადასახადო, ან/და სხვა ტიპის შეღავათის მიმღები საქველმოქმედო ტიპის ორგანიზაციები, ხოლო ურთიერთობა, რომელიც დარეგულირებულია მოხალისეებსა და მასპინძელ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულია კონტრაქტის საფუძველზე, სადაც განერილია სამუშაოს სახე, მისი შესრულების ადგილი და ხანგრძლივობა, მოხალისის სტატუსთან დაკავშირებული შეღავათები, ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები და მხარეთა უფლება-მოვალეობები.

თუკი გადავხედავთ სტატისტიკას დავინახავთ, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 92-დან 94 მილიონ ადამიანამდე არის ჩართული მოხალისეობრივ საქმიანობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ 15 წელზე უფროსი ევროპელების 22-23% ასრულებს მოხალისეობრივ საქმიანობას. თუმცა, მოხალისეთა აქტიურობის თვალსაზრისით, ქვეყნებს შორის განსხვავებები არსებობს. ამ ნიშნით ევროკავშირის ქვეყნებს ხუთ ჯგუფად ყოფენ:

1. ძალიან მაღალი აქტივობით ხასიათდება ავსტრია, ჰოლანდია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, სადაც მოსახლეობის 40% მონაწილეობს მოხალისეობრივ საქმიანობაში;

<sup>38</sup>ნაცვლიშვილი ვ. (2011) მოხალისეობა-საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო [http://www.civilin.org/pdf/CSI\\_Research\\_Volunteerism.pdf](http://www.civilin.org/pdf/CSI_Research_Volunteerism.pdf) ნანახია 15.06.2015

2. მოხალისეთა მაღალი აქტივობაა დანიაში, ფინეთში, გერმანიასა და ლუქსემბურგში, სადაც აღნიშნულ საქმიანობაში მოსახლეობის 30%-39%-ია ჩართული;

3. საშუალო აქტიურობაა ესტონეთში, საფრანგეთსა და ლატვიაში, სადაც მოსახლეობის 20%-29% მოხალისეა;

4. 10%-19% მაჩვენებლით, შედარებით დაბალი აქტიურობით ხასიათდება ბელგია, კვიპროსი, ჩეხეთი, ირლანდია, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, ესპანეთი, პორტუგალია.

5. მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები არის ჩართული მოხალისეობაში ბულგარეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ლიტვაში, რაც დაბალ მაჩვენებლად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, ზოგადი ტენდენცია ევროკავშირის ქვეყნებში მოხალისეობის სფეროში ჩამოვალთა რაოდენობის ზრდას აჩვენებს.<sup>39</sup>

სამწუხაროა, მაგრამ საქართველო მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დემოკრატიულ ქვეყნებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ჯამპსტარტის“ ერთეული ვიზუალიზაციის მიხედვით (17.02.14 წ.) იმ 135 ქვეყანას შორის, სადაც ბოლო თვეში მოსახლეობამ მოხალისეობრივი საქმიანობა გასწია რომელიმე ორგანიზაციისთვის, საქართველო 68-ე ადგილზეა. ამავე ვიზუალიზაციის მიხედვით, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და ნორვეგიაში საშუალოდ მოსახლეობის 36% მოხალისეობს ყოველთვიურად. მათი საქმიანობა ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 4% შეადგენს. საქართველოში 36% მოხალისეობის შემთხვევაში, „ჯამპსტარტის“ ვიზუალიზაციით, მოხალისეები ყოველწლიურად 581 344 000 ლარის საქმეს შეასრულებდნენ. ორგა-

<sup>39</sup> მოხალისეობის საერთაშორისო პრაქტიკა <https://ngoborjghali.files.wordpress.com/2014/05/e183a1e18390e18394e183a0e18397e18390e183a8e1839de183a-0e18398e183a1e1839d-e1839ee183a0e18390e183a5e183a2e18398e18399e1-8398e183a1-e18390.pdf> ნანახია 16.06.2015.

ნიზაციის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 81% არ ყოფილა მოხალისე (2013 წლის მონაცემი).<sup>40</sup>

საქართველოში მოხალისეობა ჯერ კიდევ ახლად ფე-სადგმული ინსტიტუტია.

ფაქტია, რომ არ მოგვეპოვება ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც დაარეგულირებდა მოხალისეობრივ აქტი-ვობას. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში ძალიან ჭირს მოხა-ლისისა და სტაჟიორნის ერთმანეთისგან გარჩევა, რადგან სა-ქართველოს კანონმდებლობა მათ შესახებ არაფერს ამბობს. ასეთი ჩანაწერი მხოლოდ საერთაშორისო აქტებსა და კონ-ვენციებში გვხვდება.

არ არსებობს მოხალისეობის ერთიანი ჩამოყალიბებული ცნება, სამართლებრივი მექანიზმები, მიმღები ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები, რაც ქმნის ერთგვარ ბარიერს მოხალი-სეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვისათვის.

თუკი გადავხედავთ 2007 წელს ჩატარებულ კვლევას, რომელიც განახორციელა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (ჩლჩჩ), დავინახავთ, რომ მოხალისეობრივ საქმია-ნობაში მონაწილეობა მიუღია საქართველოს მოქალაქეთა მხოლოდ 4,8%-ს, სომხეთში 5,7%-ს, ხოლო აზერბაიჯანში 22,9%-ს. ნათელია, რომ საქართველო ბევრად ჩამორჩება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მოხალეობრივი საქმიანობით.

თუმცა 2015 წლის 13—14 ივნისს მოხალისეების ერ-თსულოვნების უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა.<sup>41</sup> თბი-ლისში მომხდარი სტიქიის შემდეგ სალიკვიდაციო სამუშაო-ებში აქტიურად მონაწილეობდნენ მოხალისეები - მოქალაქე-ების, ძირითადად ახალგაზრდების თვითორგანიზებული ჯგუფები, მათ ფაქტობრივად დაამსხვრიეს სტერეოტიპები,

<sup>40</sup> შალვაშვილი ლ. რატომ არის მნიშვნელოვანი მოხალისეობა?... <http://csogeorgia.org/position/45/geo> ნანახია 17.06.2015

<sup>41</sup> დაცული ტერიტორიების სააგენტო 2015 წლის 13 ივნისს, ძლიერმა წვი-მამ გამოიწვია მდინარე ვერეს და მტკვრის აღდეგბა, რასაც მოჰყვა წყალ-დიდობა და ღვარცოფი <http://www.apa.gov.ge/ge/media/News/2015-wlis-13-ivniss-dzlierma-wvimam-gamoiwvia-mdinare-veres-da-mtkvris-adideba-rasac-mohyva-wyaldidoba-da-gvarcoff.page> ნანახია 18.06.2015

რაც რეალურად არსებობდა საქართველოში, იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში ყოველგვარი მოხალისეობრივი საქმიანობა არაპოპულარული იყო.

საქართველოში მოხალისეობის წამახალისებლად მეტ - წაკლებად, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები გვევლინებიან. სწორედ ისინი არიან ის რგოლი, რომელიც უბიძგებს მოხალისეებს გააქტიურდნენ. მათ მოხალისეების დასაქმებისას გარკვეული იურიდიული საკითხების მოგვარება უნდევთ, როგორიცაა: შრომითი ხელ-შეკრულების გაფორმება ან კვების თუ სხვა ხარჯების ანაზღაურება. ამ დროს ძირითადი სახელმძღვანელო სამართლებრივი აქტი — საქართველოს შრომის კოდექსია, რაც წამდვილად არაა გათვლილი მოხალისეობრივ საქმიანობაზე. სწორედ ამ გარემოების გამო კარგი იქნება, თუ სახელმწიფო მიიღებს კანონს და შეიმუშავებს პოლიტიკურ კურსს, რომელიც მოხალისეთა შრომის გამოყენებასა და საზოგადოებისათვის სასიკეთო მიმართულებით წარმართვაზე იქნება გათვლილი. ეს, რა თქმა უნდა, დაარეგულირებს არსებულ პრობლემებს და აღმოფხვრის მოხალისეობის ნეგატიურ აღქმას და მოხსნის ბარიერებს, რომელსაც მოხალისეობრივ პრინციპზე მომუშავეები აწყდებიან.<sup>42</sup>

უფრო თვალნათელი რომ გახდეს, თუ რა პრობლემას შეიძლება წააწყდეს ორგანიზაცია, შეგვიძლია მარტივი მაგალითი მოვიყვანოთ.

მაგ. თუკი ორგანიზაციაში მოხალისედ იმყოფება პირი და ის ჯანმრთელობას დაიზიანებს, სამუშაოს შესრულების დროს ორგანიზაცია, ვერ უზრუნველყოფს მეურნალობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას საგადასახადო კოდექსის თანახმად, როგორც ამას განახორციელებდა სხვა რიგით თანამშრომელზე, რადგან ასეთი ანაზღაურება სხვა რეჟიმით რეგულირდება. მსგავს პრობლემას ვაწყდებით როდესაც ორგანიზაციის სახელით მოხალისე კვალიფაკაციის ამაღლე-

<sup>42</sup> შალვაშვილი ლ. რატომ არის მნიშვნელოვანი მოხალისეობა?...  
<http://csogeorgia.org/position/45/geo> ნანახია 17.06.2015

ბისთვის მიემგზავრება და საჭიროებს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას, რაც როგორც წესი ვერ ხორციელდება, მისი სამართლებრივი სტატუსის დაურეგულირებლობის გამო. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ „ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში“, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მოხალისეს არ აქვს „დასაქმებულის“ სტატუსი, ბუნდოვანია, რამდენად ეკუთვნის მას სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.<sup>43</sup>

ერთი ან ორი მოხალისის დაფინანსება და სამივლინებო ხარჯების გამოწერა არ არის რთული, მაგრამ მაშინ, როცა საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებს ჰყავთ ოცი ან ოცდაათამდე მოხალისე, ამ შემთხვევაში მათი მივლინება თუკი მოხალისები მოითხოვენ დაფინანსებას სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებს წარმოშობს.<sup>44</sup> და მაინც შესაძლოა შეკითხვაც გაჩნდეს თუკი შევიმუშავებთ კანონს მოხალისების შესახებ, რა სარგებელს მოუტანს ეს არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახელმწიფო სტრუქტურებს?

საქართველოს შრომის კოდექსი და საქართველოს საგდასახადო კოდექსი არის ის ორი სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა არეგულირებდეს დასაქმების, შრომის ანაზღაურებისა და შესაბამის გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებს. „მოხალისის“ ცნებაც და სტატუსიც, აღნიშნულ ორ კანონში უნდა იყოს ასახული. თუმცა, დასახელებული კანონმდებლობის დეტალური ანალიზისას ირკვევა, რომ არც შრომის და არც საგადასახადო კოდექსში „მოხალისის“ ან

<sup>43</sup> საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსი 2010 წლის 17 სექტემბერი №3591-II ს

<sup>44</sup> შალვაშვილი ლ. რატომ არის მნიშვნელოვანი მოხალისებია?...  
<http://csogeorgia.org/position/45/geo> ნანახია 17.06.2015

მასთან დაკავშირებული/გათანაბრებული პირის სტატუსი არ არსებობს.<sup>45</sup>

როგორც ევროპულმა პრაქტიკამ გვიჩვენა, მოხალისე-ები ის გამოუყენებელი რესურსია, რომლებმაც გონიერი ორ-განიზების შემთხვევაში, შეიძლება დიდი წვლილი შეიტანოს ცალკე აღებული ორგანიზაციის ან საზოგადოების წარმატებაში.<sup>46</sup>

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ მოხალისეობის შესახებ კანონის მიღება ხელსაყრელია როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე სახელმწიფოსთვისაც.

დღეს საქართველოში არსებული ვითარება ვერ უზრუნველყოფს მოხალისეობის განვითარებას და წახალისებას ქვეყანაში.

1) აუცილებელია ჩამოყალიბდეს მოხალისეობის მენეჯმენტი. აღნიშვნული ხელს შეუწყობს მომავალში მოხალისეთა მობილიზებას, მოხალისეთა დროისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას, მათი ცოდნის რეალიზებას და სამოქალაქო საზოგადოებაში თითოეული ინდივიდის ჩართულობის გაზრდას.

2) აუცილებელია, სტუდენტების დაინტერესება მოხალისეობრივი საქმიანობით და მათი რესურსის გამოყენება თანატოლთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

3) მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მოხალისეობის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება, ერთ სისტემატიზებული დოკუმენტის სახით ჩამოყალიბება, სადაც განსაზღვრული იქნება მოხალისეობრივი საქმიანობა, მოხალისეთა სტატუსი, პასუხისმგებლობის სახე და ფორმები.

<sup>45</sup> აბაშიძე ა., . აბაშიძეილი გ. სახელმწიფო პოლიტიკა მოხალისეობის სფეროში: ქართული კანონმდებლობა და მსოფლიო პრაქტიკა [http://www.osgf.ge/files/publications/2011/volunteerism\\_%281%29a4\\_montaji.pdf](http://www.osgf.ge/files/publications/2011/volunteerism_%281%29a4_montaji.pdf) ნანახია 16.06.2015

<sup>46</sup> აბაშიძე ა., . აბაშიძეილი გ. სახელმწიფო პოლიტიკა მოხალისეობის სფეროში: ქართული კანონმდებლობა და მსოფლიო პრაქტიკა [http://www.osgf.ge/files/publications/2011/volunteerism\\_%281%29a4\\_montaji.pdf](http://www.osgf.ge/files/publications/2011/volunteerism_%281%29a4_montaji.pdf) ნანახია 16.06.2015

*Ketevan Kukhianidze  
Akaki Tsereteli State University*

## **VOLUNTEERING IN GEORGIA: REALITY AND CHALLENGES**

Volunteering is a multi-dimensional phenomenon. Voluntary service is an essential characteristic of healthy democratic society. Nowadays, culture of volunteerism is actively developed in many Western countries and its purpose is the desire of helping others, as well as the increase of labor productivity. Since the year 2001 was declared as ~International Year of Volunteering”, governments around the world have recognized the need of developing certain number of laws and policies for volunteering regulation. They decided to develop more than seventy new laws and policies, that would have defined the concept of a volunteer and volunteering itself and regulate the issues related to the voluntary activities. Unfortunately, these processes haven’t been implemented in Georgia yet. Volunteering in Georgia, is still newly formed institution. The social environment, the lack of legislation significantly hampers the development of culture of volunteerism. The fact is unmistakable, Georgia significantly falls behind the democratic countries by means of promotion of voluntary activities. That’s why, the aim of the article is to analyze the institute of volunteering, as well as the statistical data and to compare those data with the statistical data related to the voluntary activities taken place in foreign countries.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ვოიცეკი პ. კრუპა ი. (2011) მოხალისეობის მენეჯმენტი [http://epfound.ge/files/manual\\_on\\_volunteer\\_management\\_for\\_csos.pdf](http://epfound.ge/files/manual_on_volunteer_management_for_csos.pdf) ( ბოლო ნანახია 26.06.2015)
2. რა არის მოხალისეობა? <http://volunteering.ge/index.php/201-4-03-24-12-31-51/140> ნანახია 15.06.2015
3. ნაცვლიშვილი ვ. (2011) მოხალისეობა— საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო [http://www.civilin.org/pdf/CSI\\_Research\\_Volunteerism.pdf](http://www.civilin.org/pdf/CSI_Research_Volunteerism.pdf) ნანახია 15.06.2015.
4. აბაშიძე ა, აბაშიშვილი გ. სახელმწიფო პოლიტიკა მოხალისეობის სფეროში: ქართული კანონმდებლობა და მსოფლიო პრაქტიკა [http://www.osgf.ge/files/publications-2011/volunteerism\\_%281%29a4\\_montaji.pdf](http://www.osgf.ge/files/publications-2011/volunteerism_%281%29a4_montaji.pdf) ნანახია 16.06.2015
5. შალვაშვილი ლ. რატომ არის მნიშვნელოვანი მოხალისეობა?...<http://csogeorgia.org/position/45/geo> ნანახია 17.06.2015
6. საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსი 2010 წლის 17 სექტემბერი N3591—II ს
7. შალვაშვილი ლ. რატომ არის მნიშვნელოვანი მოხალისეობა?... <http://csogeorgia.org/position/45/geo> ნანახია 17.06.2015
8. დაცული ტერიტორიების სააგენტო 2015 წლის 13 ივნისს, ძლიერდა წვიმამ გამოიწვია მდინარე ვერეს და მტკვრის აღიდება, რასაც მოჰყვა წყალდიდობა და ლვარცოფი <http://www.apa.gov.ge/ge/media/News/2015-wlis-13-ivniss-dzlierma-wvimam-gamoiwvia-mdinare-veres-da-mtkvris-adidebarasac-mohyyva-wyaldidoba-da-gvarcofi.page> ნანახია 18.06.2015
9. მოხალისეობის საერთაშორისო პრაქტიკა— <https://ngoborjg-hali.files.wordpress.com/2014/05/e183a1e18390e18394e183a0e1-8397e18390e183a8e1839de183a0e18398e183a1e1839d-e1839-e183a0e18390e183a5e183a2e18398e18399e18398e183a1-e18-390.pdf> ნანახია 16.06.2015
10. Council of Europe Recommendation No (94)4 of the Committee of Ministers of Members States on Promotion of Voluntary Service

**ლია თეთრაძე**  
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ირინე ჭუმბურიძე**  
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

---

**პოლიტიკური პარტიების საზოგადოებასთან  
ურთიერთობა სოციალურ ესელებში  
(ციხის სკანდალის ასახვა ერთიანი ნაციონალური  
მოძრაობის და ქართული ოცნების  
Facebook-ის გვერდზე)**

სოციალური ქსელი, განსაკუთრებით facebook-ი დღეს ქართული პოლიტიკის მნიშვნელოვან რესურსად იქცა. ის ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში და დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ facebook-ი პოლიტიკური პარტიებისა და სუბიექტებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისთვის უნიკალური საშუალებაა. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი უკუკავშირის შესაძლებლობაა. მას ახასიათებს ინტერაქტიული კომუნიკაცია მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებს, ან საჯარო პირებს შორის. მომხმარებელი არის პოლიტიკური ინფორმაციის არა პასიური მიმღები, არამედ აქვს შესაძლებლობა და-აფიქსიროს საკუთარი პოზიცია კომენტარების სახით და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ დებატებში. Facebook-ზე პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების მიერ გამოხატული მოსაზრებები ხშირად ახალი ამბების წყარო ხდება მედიისთვის. სოციალური მედიის მიზანი ამომრჩეველთა მიერ მონაცემთა შეგროვებაა პოლიტიკურ სუბიექტებზე, როთაც საარჩევნო კამპანიის პერსონალიზება ხდება. როგორც კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის (CRRC) რეგიონული დი-რექტორი ჰანს გატბროდი აღნიშნავს: “პოლიტიკოსებმა იმისთვის, რომ სხვებს რეალურ დროში დაუკავშირდნენ,

საზრიანობა უნდა გამოიჩინონ, ერთი ნაბიჯია გადასადგმელი იმისთვის, რომ ხელი მიგინვდებოდეს და მეორე, კონცეპტუალური ნაბიჯი ისაა, რომ მაქსიმალურად გამოიყენო ეს შესაძლებლობა, ყური მიუგდო იმას, რაც ხდება და მერე სოციალური მედიის ყველა ასპექტი გამოიყენო“ (კორსო 2012).

პოლიტიკური პარტიების მიერ თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვება. არჩევნების წინ 18 სექტემბერს ტელევიზიებით ციხის კადრების გავრცელებამ დიდი გავლენა იქონია საზოგადოების განწყობასა და ქცევაზე, რამაც თავისებური ასახვა ჰქონა პოლიტიკური პარტიების სოციალური ქსელების ოფიციალურ გვერდებზე. განსაკუთრებით მაღალი იყო მოქალაქეთა ჩართულობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და კოალიცია „ქართული ოცნების“ სოციალურ ქსელ Facebook -ის ოფიციალურ გვერდებზე.

2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში, ფაქტობრივად, ორი მნიშვნელოვანი პერიოდი გამოიყოფა: პირველი, ესაა პერიოდი 2012 წლის 18 სექტემბრამდე, საქართველოს ციხე-ეპში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებამდე და მეორე, ციხის კადრების გავრცელების შემდგომი პერიოდი - 18 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. მოხსენებაში ყურადღება სწორედ ამ სკანდალურ მოვლენას ეთმობა.

Socialbakers.com - ის 2012-2013 წლის მონაცემებით, რომელიც სოციალური მედიის სტატისტიკას იკვლევს, საქართველოში Facebook -ში რეგისტრირებულია 969 840 ადამიანი, მოსახლეობის 20.95%. სტატისტიკური ინფორმაციით Facebook -ის მომხმარებელთა რეიტინგში საქართველო 85 - პოზიციაზეა.<sup>47</sup>

<sup>47</sup> იხ. ბმული <http://www.socialbakers.com/facebook-statistics/page-2/> ნანახია 13.12.2013

## List of Countries on Facebook




| Last 6 months |         | Last 3 months     | Last month | Last 2 weeks | Last week   |
|---------------|---------|-------------------|------------|--------------|-------------|
| #             | Country | Number of Users ▾ | Change     | (± %)        | Penetration |
| 85.           | Georgia | 969 840           | +167 100 ↗ | +17.23%      | 20.95%      |

2012 წლის არჩევნებზე, კოალიცია „ქართული ოცნება“ სოციალურ ქსელში წარმოდგენილი იყო პოლიტიკური სუბიექტის ბიძინა ივანიშვილის ოფიციალური Facebook, Youtube და Twitter -ის გვერდებით. აქედან ყველაზე ეფექტური და აქტიური იყო Facebook-ი. სტატისტიკის მიხედვით ივანიშვილი განსაკუთრებით პოპულარული 18—24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში იყო. ხოლო ქალაქებიდან და რაიონებიდან ყველაზე აქტიური მომხმარებელი თბილისში და დუშეთის რაიონში ჰყავდა.

facebook-ზე საზოგადოებასთან კომუნიკაციის სამი სახეობიდან - კომენტარი, გაზიარება და მოწონება, უკუკავშირის თვალსაზრისით ყველაზე პასიურად შეიძლება ჩაითვალოს „ლაიქები“, თუმცა პოლიტიკური პარტიებისა და სუბიექტებისთვის „ლაიქები“ პრესტიჟის საკითხია. „ქართული ოცნების“ მომხმარებელთა „ლაიქების“ რაოდენობა 1 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე იზრდება, ხოლო 26 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე 44593 „ლაიქით“ იკლებს.<sup>48</sup> (იხ. დიაგრამა 1)

---

<sup>48</sup> „like“- ების კლების ტენდენცია დროში ემთხვევა, შსს-ის მიერ ტელევიზიით გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებს, რომელიც ერთიანება ნაციონალურმა მოძრაობამ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გამოიყენა.



2012 წლის 18 სექტემბერს ტელევიზიებსა და სოციალურ ქსელებში გლდანის მე-8 საპყრობილები გადაღებული ვიდეომასალა გავრცელდა. კადრებზე პატიმართა წამებისა და გაუპატიურების ამსახველი ფაქტები იყო ასახული. პირველი ციხის კადრები „მე-9 არხმა“ აჩვენა. როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, მასალა ტელევიზიას საპყრობილის ყოფილმა ზედამხედველმა ვლადიმერ ბედუკაძემ მიაწოდა, მან ფარულად გადაიღო ვიდეო, რომელზეც პოლიციელები პატიმრებს ამცირებენ. ციხის კადრებმა დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განწყობაზე, იმავე ღამეს გაიმართა საპროტესტო აქციები. სტუდენტებმაც ძალადობა დაგმეს და 20 სექტემბერს აქცია მოაწყეს ლოზუნგით „არ აწამო!“ სოციალური ქსელების საშუალებით საზოგადოება აქტიურად მოუწოდებდა ერთმანეთს ღიად გამოეხატათ პროტესტი. ვიდეომასალები, რომლებშიც ასახული იყო ადამიანის უფლებების დარღვევები ქართულ ციხეებში, შოკის მოგვრელი იყო საზოგადოებისთვის. 18 სექტემბერს გავრცელებული ციხის კადრები ივანიშვილის ოფიციალურ facebook-სა და Youtube -ზე არ ატვირთულა თავად ადმინისტრაციის მიერ. მხოლოდ მომხმარებელი კომენტარების სახით ლინკს დებდა ვიდეოებისა, რომელთა ძირითადი წყარო იყო „TV 9“ და „მაესტრო“. საზოგადოება კომენტარებში აქტიურად

აფიქსირებდა საკუთარ პროტესტს და დამოკიდებულებას. სოციალურ ქსელში გაიზარდა აგრესიული და უარყოფითი შინაარსის კომენტარები, იმატა სიძულვილის ენამ ხელი-სუფლების მიმართ. აქტიურად მოითხოვდნენ სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიას, ადეიშვილის გადადგომას. წერ-დნენ შემდეგი შინაარსის კომენტარებს: „დამნაშავეები უნდა ეწამონ ისეთივე მეთოდებით, როგორც პატიმრებს ანამებ-დნენ“, „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველა ციხეში! საკანი №5“, „კადაფური სასჯელი გელოდებათ თქვენ ქართველი ერისაგან...“ იყო სხვა მსგავსი აგრესიული კომენტარებიც. კომენტარების უმრავლესობაში ნახსენები იყო შემდეგი ფრაზები: „ესენი უნდა წავიდნენ, ხელისუფლება უნდა შეიც-ვალოს“, „პრეზიდენტი უნდა გადადგეს“, „პასუხი უნდა აგოს ყველამ.“<sup>49</sup>

მომხმარებელთა დიდმა ნაწილმა უარი თქვა პროფი-ლის სურათებზე და გაამავა ფონი. პოლიტიკური შინაარსის პოსტებმა და კომენტარებმა შეცვალა და ჩაანაცვლა გასარ-თობი პოსტები. Facebook-ი იქცა პოლიტიკური დისკუსიის მთავარ ადგილად. საერთო პროტესტის გაზიარების სივ-რცედ. ექსპერტები დარწმუნებით ამბობდნენ, რომ სკანდა-ლი გავლენას იქონიებდა ნაციონალური მოძრაობის რეიტინ-გზე. მოსალოდნელი იყო რომ, ის ამომრჩეველი, რომელსაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი ვისზე გაეკეთებინა არჩევანი ან „ქართულ ოცნებას“ დაუჭერდა მხარს, ან, პროტესტის ნიშ-ნად, შედარებით დაბალი რეიტინგის პარტიას. ცხადი გახდა, რომ შექმნილი სიტუაცია არჩევნების შედეგზე დიდ გავლე-ნას მოახდენდა. ხელისუფლება კრიზისის მართვის რეჟიმში გადავიდა. გადააყენა რამდენიმე მაღალჩინოსანი.

მართლაც, ციხის სკანდალის შემდეგ მკვეთრი ცვლილე-ბები მოხდა. სავარაუდოდ, ელექტორატის იმ ნაწილმა, რომე-ლიც ჯერ კიდევ ორჭოფობდა და გადაწყვეტილი არ ჰქონდა რომელი პოლიტიკური ძალისთვის მიეცა ხმა, სკანდალის შემ-დეგ აშკარად შეაჩერა არჩევანი „ქართულ ოცნებაზე“.

<sup>49</sup> <http://www.facebook.com/OfficialBIDZINAIVANISHVILI?ref=ts> ნანახია 20.10.2012

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, აგვისტოში, ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩაატარა. NDI-ის კვლევის მიხედვით, კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, შედეგები ასე გადანაწილდა: “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - 37%; “კოალიცია “ქართული ოცნება” - 12%; კვლევის შედეგებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები კმაყოფილი იყვნენ და ენდობოდნენ კვლევას, ხოლო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და მხარდამჭერები - არა.

18-30 სექტემბერს ციხის ვიდეოების მნახველთა და გამომწერთა რაოდენობამ ბევრად აჯობა ივანიშვილის გამოსვლებისა და რეგიონებში შეხვედრების ვიდეოებს მნახველთა რაოდენობით. მაგალითად 19 სექტემბერს „ბიძინა ივანიშვილის მიმართვა“ ნანახი ჰქონდა **9 633** მომხმარებელს, ხოლო ციხეში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების ამსახველი კადრები, რომელიც ტელევიზია „მაესტრო“-დან იყო ატვირთული - **129 602** მომხმარებელს.

პირველი კომენტარი ციხის კადრებთან დაკავშირებით კოალიციის ლიდერმა 19 სექტემბერს დუშეთში მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა. ივანიშვილმა დაახლოებით სამი წუთი ისაუბრა ციხის სკანდალზე.<sup>50</sup>

ციხის კადრების გავრცელებამ დიდი გავლენა იქონია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სტრატეგიაზე. საერთო ხაზი, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიის ორივე ეტაპს იყო ერთის მხრივ, ნეგატიური პიარ კამპანია კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარი საარჩევნო პროგრამის ცალკეული ასპექტების პოპულარიზაცია, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

<sup>50</sup> იხ. ბმული <http://www.youtube.com/watch?v=69BwrkEBGwg> ნანახია  
12.10.2013

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო კამპანიის განმავლობაში აქტიურად იყენებდა სოციალურ ქსელების, კერძოდ, facebook-ის, youtube-ის, twitter-ის და live streams-ის შესაძლებლობებს. პარტიის ოფიციალური გვერდი facebook-ის სტატიისტიკის თანახმად ყველაზე პოპულარული იყო 18-დან 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში, თბილისში.

რაც შეეხება უშუალოდ ციხის სკანდალის გავლენას და გამოხმაურებას სოციალურ ქსელებში, ამ ფაქტზე რეაგირება მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ გვერდზე იწყება 18 სექტემბერს გავრცელებული საგანგებო განცხადებით,<sup>51</sup> სა-დაც მან გამოხატა აღმოჩენა და უკიდურესი გაბრაზება, დაგმო ძალადობა, აილო პასუხისმგებლობა მომხდართან და-კავშირებით და განაცხადა, რომ აუცილებლად დაისჯებოდა და პასუხს აგებდა ყველა ის პირი, ვინც ამ დანაშაულში იყო მხილებული. ხოლო პარტიის Facebook -ის ოფიციალურ გვერდზე იწყება უკვე 19 სექტემბრიდან დავით ბაქრაძის მი-ერ გაკეთებული ანალოგიური შინაარსის განცხადებით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები განცხადებებში მკაფიოდ აფიქსირებდნენ, რომ ისინი გრძნობდნენ პასუხისმგებლობას და მოახდინეს სწრაფი და ადეკვატური რეაგირება აღნიშნული მდგომარეობის გამო-სასწრებლად. კერძოდ, თანამდებობიდან გაათავისუფლეს სასჯელალსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე. ასევე პოსტი დაატვირთეს მსგავსი წამების ფაქტებში მხილებულ რამდენიმე თანამშრომელს. დაინიშნა ახალი მინისტრი, ყო-ფილი სახალხო დამცველი, გიორგი ტულუში, რომელიც სა-ზოგადოებაში უფრო მეტი ნდობით სარგებლობდა.

სახელისუფლო განცხადებებს არაერთგვაროვანი გა-მოხმაურება მოჰყვა. Facebook -ის მომხმარებელთა ნაწილი იზიარებდა და ეთანხმებოდა ხელისუფლების განწყობას და დამოკიდებულებას, ხოლო, ნაწილში - გაღიზიანებას და აგ-

<sup>51</sup> იხ. ბმული <http://www.ambebi.ge/politika/61126-gldanis-cikheshi-patimartha-tsamebis-faqtebthan-dakavshirebit-prezidentma-sagangebo-ganckhadeba-gaaketha.html?add=1>

რესიას იწვევდა. იმატა სიძულვილის ენამ, გინებამ, პარტიის მომხრებსა და მოწინააღმდეგებს შორის შეურაცხმყოფელმა მიმართვებმა, გახშირდა კომენტარები: ”გრცხვენოდეთ!!!”, „ცოცხების პარტია!!!” „წადით ჩვენი ქვეყნიდან, მოგვეცით მშვიდი ცხოვრების უფლება“, ”განაჩენი გამოუტანეთ უკვე თქვენ თავს ნაცებოო.. ვარდებით მოხვედით და ცოცხებით გაგიშვებთ”, „დაისაჯოს უნდა მთელი ნაცმოძრაობა!!!” და ასევე ნახავდით სხვა შინაარსის კომენტარებსაც: ”ბატონო მიშა, ბატონო დავით, ბატონო ვანო, ჩვენ გვჯერა თქვენი!“ ამავდროულად იყო ცინიკური და აგრესიული კომენტარებიც, სადაც ნათლად ჩანდა, რომ საზოგადოების ნაწილს არ სჯეროდა ხელისუფლების არაინფორმირებულობის ამ საკითხთან მიმართებაში.

18 სექტემბრის შემდგომ ამომრჩევლებთან შეხვედრებზე ციხის კადრებთან დაკავშირებით მიხეიოლ სააკაშვილი ხშირად იმეორებდა ფრაზებს: ”ეს უნდა გამოეგდოთ 25, 24-25 რიცხვში”, ”მათ იცოდნენ”, ”ახალისებდნენ ამას”, ”ფული აიღეს ამაში”, ”თვითონ უკვეთავნენ” ”ჩვენ მოვახდინეთ რეაქცია“, „ვგრძნობთ პასუხისმგებლობას”, ”არავის მივცემთ უფლებას 8 წლიანი მონაპოვარი წყალში ჩაგვიყარონ”, ”მათი გეგმა ჩავარდა”, ”არ დავუშვებთ წარსულში დაბრუნებას” და. ა.შ. რაც ერთის მხრივ საკითხის სიმწვავესა და ხელისუფლების დაკარგვის შიშზე მიანიშნებდა, ხოლო მეორე მხრივ, ოპონენტი პოლიტიკური სუბიექტის დისკრედიტაციის მცდელობა იყო.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ციხის კადრების გავრცელებამდეც აქტიურად აწარმოებდა ნეგატიურ - პიარ კამპანიას საარჩევნო ბლოკის — კოლიცია ”ქართული ოცნების“ წინაამდეგებ. ეს კარგად ჩანს საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს გაკეთებულ განცხადებებში, სადაც აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა რუსული ფულის შემოსვლასა და 1990-იანი წლების საქართველოზე. კერძოდ, სამოქა-

ლაქო დაპირისპირებასა და შევარდნაძის მმართველობის წლებზე, რომელიც კორუფციასთან, განუკითხაობასთან და უმუშევრობასთან ასოცირდებოდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მიზანი, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ასოცირებული ყოფილიყო რუსეთთან, ხოლო მათი ხელისუფლებაში მოსვლა, განვითარების თვალსაზრისით, უკან დაბრუნებასთან, ნაწილობრივ მიღწეულ იქნა, რაც ნათლად ჩანს სოციალური ქსელის მომხმარებელთა კომენტარებში. მიუხედავად ამისა, ციხის კადრებმა გადაწონა ეს დამოკიდებულება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფიციალურ გვერდებზე, სოციალურ ქსელებში, ნაკლებად გვხდება ტექსტობრივი მასალა ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ გაზიარებულ ვიდეოებში, პრეზიდენტის გამოსვლების დროის დიდი ნაწილი სწორედ პენიტენციალურ სისტემაში განვითარებულ მოვლენებს ეთმობოდა. (იხ. დიაგრამა №2) თუმცა, როგორც დიაგრამაზე ჩანს, არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, ციხის თემას ჭარბობს პროგრამული ნაწილი და სხვა თემები. აღსანიშნავია, რომ პატიმრების ნამების ამსახველი ვიდეომასალა პარტიის გვერდზე მხოლოდ კომენტარებში გვხვდება ბძულის სახით, რომლის წყარო „მეცხრე არსი“ ან „მაესტროა“.

დიაგრამა 2

**მიხეილ სააკაშვილის მიმართვების წუთობრივი  
მონიტორინგი. 19-30 სექტემბერი, 2012 წ.**




გავრცელებული ვიდეო მასალიდან ერთ-ერთი ყველა-ზე საინტერესო იყო მიხეილ სააკაშვილის სარეკლამო ხასიათის მიმართვა ციხის თემასთან დაკავშირებით,<sup>52</sup> რომელიც გავრცელდა სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო სივრცეში, ვიდეობმულს facebook-ზე 368 მოწონება, 112, კომენტარი და 53 გაზიარება ჰქონდა. განსაკუთრებით საინტერესოა, კომენტარების შინაარსობრივი მხარე, რომელთა უმეტესი წილი ნეგატიური ხასიათისაა, მიმართული არა მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და მათი მხარდამჭერების, არამედ კოალიცია „ქართული ოცნების“ და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგაც. იხ. დიაგრამა №3

დიაგრამა 3

<sup>52</sup> იხ. ბმული <https://www.youtube.com/watch?v=tX2xx5N1ZI8>

## მიხეილსააკაშვილის მიმართვა



როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიის პირველი ეტაპი განსხვავებულ რეჟიმში მიმდინარეობდა. მაგალითად, 8 სექტემბერს დაგეგმილი შეხვედრების შესახებ სოციალურ ქსელებსა და ოფიციალურ გვერდზე აქტიურად მიმდინარეობდა მსარდამჭერთა მობილიზაციის საინფორმაციო პიარკამპანია, ხოლო შემდგომ უკვე ჩატარებული ლონისძიებების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის განთავსება. 18 სექტემბრის შემდეგ კი, youtube-ის ოფიციალურ არჩევ <https://www.youtube.com/user-unmgeorgia/featured> გაზიარებული ვიდეობის ნაწილი, რომელიც პარალელურად ვრცელდებოდა facebook-ზე, სპონტანურ ხასიათს ატარებდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ჩატარებული არცერთი ლონისძიება, იუსტიციის სახლის გახსნა 21.09.12<sup>53</sup>, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა პირველად მიმართა ციხის კადრების გასვლის შემდეგ, იქ შეკრებილ საზოგადოებას. მსარდამჭერებთან შეხვედრა ბათუმში 23.09.12,<sup>54</sup> ზუგდიდში


<sup>53</sup> იხ. პმული <https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/286172838161969>

<sup>54</sup> იხ. პმული <https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/415932231788384>

23.09.12,<sup>55</sup> კასპში 25.09.12<sup>56</sup> გურჯაანში, 25.09.12,<sup>57</sup> გორში 26.09.12,<sup>58</sup> გარდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დასკვნითი შეხვედრისა სპორტის სასახლეში, დაანონსებული არ ყოფილა სოციალურ ქსელებსა და ოფიციალურ გვერდზე.

ციხის კადრების გასვლის შემდგომ მომატებული აგრესის ფონზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე მომხმარებელთა კლება არ შეინიშნება, ე.წ. “like” — ის მხრივ, კლება ფიქსირდება უკვე ოქტომბრის პირველივე რიცხვებიდან. იხ. დიაგრამა №4

#### დიაგრამა 4



მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია სექტემბრის თვეში, „კომპრომატების“ ომს ჰეგივდა და ერთიანამა ნაციონალურმა მოძრაობამ მძიმე დარტყმა მიიღო პენიტენციალური სისტემაში არსებული მდგომარეობის მხილებით, გაორმაგებული ძალით ცდილობდა ხელისუფლებისთვის ბრძოლას არამხოლოდ პარტიული, არამედ მთელი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ფარული სატელეფონო საუბრები თუ ვიდეოჩანანერები, რომელიც ინტენსიურად ვრცელდებოდა არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე სატელევიზიო არხებსა და

<sup>55</sup> იხ. ბმული <https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/359500107467410>

<sup>56</sup> იხ. ბმული <https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/496944570324911>

<sup>57</sup> იხ. ბმული <https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/388462551226198>

<sup>58</sup> იხ. ბმული <https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/530596080300908>

სოციალურ ქსელებში, სადაც ერთი მხრივ ფიქსირდებოდა კოალიცია ქართული ოცნების წევრების ქურდულ სამყაროს-თან კავშირი, ხოლო მეორეს მხრივ - კოალიციის წევრების მხრიდან ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები. აღნიშნულ სტრატეგიას ორი მიზანი ჰქონდა. პირველი, კოალიცია ”ქარ-თული ოცნების” დისკრედიტაცია და უნდობლობის გაზრდა, ხოლო მეორეს მხრივ საზოგადოების დარწმუნება, რომ კოა-ლიციის მოსვლა ხელისუფლებაში პირდაპირ კავშირში იყო ქურდული წესრიგის დამყარებასთან, რუსეთთან და წარსულ-ში დაბრუნებასთან. კომპრომატების ომის პარალელურად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მაინც ახერხებს პროგრა-მული ნაწილის პიარეამპანიას. საბოლოოდ, ერთიანი ნაციო-ნალური მოძრაობისათვის მარცხის განმაპირობებელი ბოლო წვეთი აღმოჩნდა ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების ფაქტი არჩევნების წინა ღამეს, რომელიც აღნიშნული სუბიექ-ტის გურჯანის მაჟორიტარობის კანდიდატს გიორგი ღვინი-აშვილს ედებოდა ბრალად. შექმნილმა პოლიტიკურმა მდგო-მარეობამ, საზოგადოებაში არსებული წეგატიური განწყობა კიდევ უფრო გააძლიერა. დადგა სამოქალაქო დაპირისპირე-ბისა და კონტროლის დაკარგვის საშიშროება. ამიტომ ივანიშ-ვილი თითქმის ყველა გამოსვლაში მოუწოდებდა მხარდამ-ჭრებს, რომ არ მომხდარიყო დაუგეგმვა გამოსვლები, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა დაპირისპირება და აგრესია და მოუ-წოდებდა, რომ ემოციების გარეშე, არჩევნების გზით შეეცვა-ლათ ხელისუფლება.

სექტემბრის თვეში საარჩევნო კამპანია მაკომპრომე-ტირებელი მასალებით ბრძოლას ჰგავდა, არავის ახსოვდა პარტიების პროგრამები და დაპირებები. საზოგადოებამ ყუ-რადლება მთლიანად გადაიტანა ციხის სკანდალზე, ეს არჩევ-ნები ყველაზე ემოციური არჩევნები იყო ქართულ რეალობა-ში. Facebook-ი ინფორმაციისა და პოზიციების გაცვლისა და საზოგადოების მობილიზების საშუალებად იქცა. გაიზარდა პოლიტიკური შინაარსის სტატუსები და კომენტარები. Facebook-ის საშუალებით, სტუდენტების მიერ იგეგმებოდა

მასიური აქციები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ისინი პატიმრების წამებასა და ცემას აპროტესტებდნენ. ციხის სკანდალმა სოციალური ქსელის პასიური მომხმარებელიც გამოაღვიძა, ანუ ის, ვინც მანამდე მხოლოდ აკვირდებოდა მოვლენებსა და საარჩევნო კამპანიას, აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში. სოციალურ ქსელებს ხელისუფლების ცვლილებაზე პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია, თუმცა ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება, საზოგადოების ჩართულობას აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

*Lia Tetradze; Irine Tchumburidze  
Ilia state University*

**USING SOCIAL NETWORKS DURING THE 2012  
PARLIAMENTARY ELECTIONS  
(DESCRIBING PRISON SCANDALS FROM  
THE PERSPECTIVE OF FACEBOOKPOSTS OF  
UNITED NATIONAL MOVEMENT AND GEORGIAN  
DREAM)**

In modern politics internet has become a very important tool of communication between political subjects and society. Nowadays, social networks play a major role in spreading information and creating a public opinion. Exchanging information and holding discussions in a virtual way makes more and more people involved in a political process. Political parties actively try to attract electorate and gain trust from society using social networks. Experts say, that very soon citizens may prefer to state their own political will and choice on the internet. What is more, in Britain ~e-voting" is considered to be the democracy of future.

Today, the social network has become an important resource of the Georgian politics. Nearly all the leading parties and non-governmental organizations have their own accounts on social networks. The activities by one or the other political parties have become much more noticeable lately. It should be noted that Facebook for them is considered quite a unique way for PR and for influencing public opinion.

Feedback is one of the most important components of Facebook. It is characterized by interactive communications between citizens and politicians or public entities. Users are not passive recipients of information but they have the chance to state their own points of view or a position while commenting and take part in political debates. Facebook is a virtual space that unites people having common interests and sharing thoughts with each other.

Despite the fact that adding friends on Facebook is limited (a person can have 5000 friends), the network gives consumers the opportunity of subscribing and it also gives the chance to see the specific user's activity or to get feedback just without making friends with the user.

Moreover, the sharing function makes it possible to view the specific status, information or advertisement of the people the user has not made friends with. The opinion posted by politicians or public entities on Facebook often becomes the source of the news for media. It has become the way of exchanging information and ideas as well as mobilizing society. Analysts say that the social network aims at collecting data by voters about political subjects that personalized the election campaign. The candidate must be a person who is not only familiar but he/she should also understand the voter problems and be their friend. This is already a part of modern politics. The project aims to find out how adequately and rationally websites and social networks are used by political parties and subjects for public relations as well as during the pre-election campaign. Since the advantage of social networks is that citizens can get information in a simple way and they have a possibility to state their own opinions, it was much more interesting to observe political parties and subjects during the 2012 Parliamentary elections to find out how rationally they use modern information and communication technologies.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. „ინტერნეტის პოლიტიკური არქიტექტურა საქართველოში“ 2012 . ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
2. კორსო, მოლი. „შეუძლია თუ არა facebook-ს თბილისში პოლიტიკური ძვრების გამოწვევა?“ 2012.  
<http://foreignpress.ge/chven-shesakheb/3520.html?lang=ka-GE>
3. ნავარო, ლუის. „საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა ციხის კადრებმა იქონია“ 2012.  
<http://pirweli.com.ge/index.php?menuid=8&id=21804>
4. უშიკიშვილი, რუსიკო. „ასეთი შედეგები სოციოლოგიური კვლევის კრახია“ 2012.  
[http://www.for.ge/view.php?for\\_id=16092&cat=3](http://www.for.ge/view.php?for_id=16092&cat=3)
5. ინტერპრესნიუსი. 2012.09.19. 09:54 გლდანის ციხეში პატიმართა ნამების ფაქტებთან დაკავშირებით პრეზიდენტმა საგანგებო განცხადება გააკეთა.  
<http://www.ambebi.ge/politika/61126-gldanis-cikheshi-patimartha-tsamebis-faqtebthan-dakavshirebith-prezidentma-sagangebo-ganckhadeba-gaaketha.html?add=1>
6. საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა 2012.21.09  
<https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/286172838161969>
7. მხარდამჭერებთან შეხვედრა ბათუმში 2012.23.09.  
<https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/415932231788384>
8. მხარდამჭერებთან შეხვედრა ზუგდიდში. 2012.23.09  
<https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/359500107467410>
9. შეხვედრა კასპში. 2012.25.09  
<https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/496944570324911>

10. მხარდამჭერებთან შეხვედრა გურჯაანში 2012.25.09  
<https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/388462551226198>
11. მხარდამჭერებთან შეხვედრა გორში 27.09.2012  
<https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/530596080300908>
12. მიხეილ სააკაშვილის მიმართვა 24.09.2012  
<https://www.youtube.com/watch?v=tX2xx5N1ZI8>

## ინგა მიხანაშვილი ილიას უნივერსიტეტი

---

### ასოცირების შესახებ შეთანხმება და საქართველოს ეპროკავშირში განვითარისათვის პროცესივაპი

“აღმოსავლეთ პარტნიორობა” და  
საქართველოსთან ასოცირების  
შესახებ შეთანხმების გაფორმება.

საქართველოს “აღმოსავლეთ პარტნიორობაში” განევრიანება საქართველოს ხელისუფლების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. “აღმოსავლეთ პარტნიორობა”, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანთან, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, უკრაინა, სომხეთი) თანამშრომლობის ფორმატი, შევძეთისა და პოლონეთის ინიციატივაა. მისი მთავარი მიზანია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ხელმოწყობა და მისი აღმოსავლეთ განზომილების გაძლიერება.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ კონკრეტულ მიზნად ისახავს შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების ხელშეწყობას, მიაღწიონ ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნები, ძირითადად, ოთხი თემატური პლატფორმის ფარგლებში თანამშრომლობენ: 1. დემოკრატია, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა; 2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება; 3. ენერგოუსაფრთხოება; 4. ხალხთა შორის კონტაქტები.

ვიღნიუსის სამიტმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის ისტორიული დატვირთვა შეიძინა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად და-იწყო 2010 წლის ივლისში, რომელიც 2013 წელს ხელშეკრულების რატიფიცირებით დასრულდა.

ასოცირების შესახებ შეთანხმებამ ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილი “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება” და შექმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალი სამართლებრივი ჩარჩო. “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებასთან” შედარებით, ასოცირების შესახებ შეთანხმება ყოვლისმომცველი და პოლიტიკური კუთხით, შინაარსობრივად უფრო დატვირთული დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აკყავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

ასოცირების შესახებ შეთანხმება საერთაშორისო შეთანხმებაა, რომლითაც მოხდება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ყველა სფეროში. ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპული ტიპის სახელმიწოდებლის ჩამოყალიბებას. იგი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას.

ასოცირების შესახებ შეთანხმება პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ: პოლიტიკური თანამშრომლობა, დარგობრივი თანამშრომლობა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე.

შეთანხმება ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა; კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. პოლიტიკური დია-

ლოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება მოხდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა, მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება. მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზღვრის მართვა. ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის; ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბებას, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს წარმოადგენს.

## **ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და საქართველო**

საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესარულების შემდეგ. საქართველომ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზა წარმატებით შესარულა. ახლა სამოქმედო გეგმას მეორე ფაზა აქვს შესასრულებელი, რომელთან დაკავშირებით ევროკომისიამ რიგის სამიტამდე გამოაქვეყნა ახალი დასკვნა, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, თუმცა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ბოლომდე ვერ შესარულა. საქართველოს, გეგმით გათვალისწინებული 15 ნიშნული უნდა დაეკმაყოფილებინა, საიდანაც 7 შესარულებულად ჩაითვალა, ესენია: დოკუმენტების მართვა; საზღვრის ინტეგრირებული მართვა; ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და მისი პრევენცია; სასამართლო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში; პერსონალურ მონაცემთა დაცვა; საქართველოს

ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება და სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა. შესრულებელი ნიშნულები კი შემდეგია: მიგრაციის მართვა; თავშესაფრის პოლიტიკა; ადამიანთა ტრეფიკინგი; კორუფ-ციის თავიდან აცილება და ბრძოლა მის წინააღმდეგ; ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა; ნარკოტიკების საკითხი; თანამშრომლობა სამარ-თალდამცავ უწყებებს შორის; მოქალაქეთა უფლებები, მათ შორის, უმცირესობების დაცვა.<sup>59</sup>

ანგარიშში ევროკომისია საქართველოს ხელისუფლე-ბას აძლევს მთელ რიგ რეკომენდაციებს იმისათვის, რომ ზე-მოხსენებული ნიშნულები ბოლომდე შესრულებულად ჩაით-ვალოს. მათ შორის, ევროკომისიის განცხადებით, უნდა ჩა-ტარდეს უფრო ინტენსიური საინფორმაციო კამპანიები რე-გიონულ, ადგილობრივ და ყველა სხვა დონეზე საქართვე-ლოს მოქალაქეების სამომავლო უვიზო მიმოსვლასთან და-კავშირებული უფლებებისა და მოვალეობების გასაცნობად. გარდა ამისა, საქართველომ უნდა გააგრძელოს ჰუმანიტა-რულ საფუძველზე ვიზების გაცემის პროცედურების შემუ-შავებაზე მუშაობა. რაც შეეხება ადამიანის უფლებების სა-კითხს, ანგარიშში წერია, რომ საქართველომ უნდა გააფარ-თოვოს და განაგრძოს საქმიანობა თანასწორობის, ტოლე-რანტობისა და მრავალფეროვნების საკითხებთან დაკავში-რებით ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ფართო სა-ზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულე-ბით. გაააქტიუროს ძალისხმევა უმცირესობათა თემების ინ-ფორმირებულობის გასაზრდელად მათი უფლებებისა და არ-სებული სახელმწიფო სერვისებისა და დახმარების შესახებ. მიიღოს ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ტოლერან-ტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად წინა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილების სრულად გათვალისწინებით. გააგრძელოს

<sup>59</sup> [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/visa/20150208vlap\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/visa/20150208vlap_ka.pdf)

იურიდიული სფეროს სპეციალისტების ტრენინგი სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში და სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებების სათანადოდ გათვალისწინებით.<sup>60</sup>

უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომელიც გულისხმობს შემდეგს: უვიზო მიმოსვლა გამოიწვევს საქართველოდან შრომითი რესურსების, მათ შორს კვალიფიციური მუშახელის გადინებას ევროკავშირის ქვეყანაში. სინამდვილეში კი ასოცირების შესახებ შეთანხმების არც ერთი დებულება არ არის დაკავშირებული ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებასთან, იგი არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების შესაძლებლობას. გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ხელშეკრულება (ხელი მოეწერა 2010 წლის ივნისში, ძალაშია 2011 წლის მარტიდან) ამარტივებს ვიზის მიღების პროცესს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის და მას არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმებასთან. ამასთან ერთად, უვიზო მიმოსვლის პერსექტივა იძლევა ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე მხოლოდ მოგზაურობისა და არამუდმივი ბინადრობის და დასაქმების შესაძლებლობებს.

### **ასოცირების შესახებ შეთანხმება და სამოქალაქო ჩართულობა**

ასოცირების შესახებ შეთანხმება მოითხოვს ასევე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. იგი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის შექმნას. 412

<sup>60</sup> ქოქოშვილი, დ. (2015). 8 მიზნები, რის გამოც ევროკომისის ანგარიშით საქართველო უვიზო რეჟიმს დღეს არ იმსახურებს. ნანახია 28.05.2015 <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/44687/.htm>

და 413 მუხლებში საუბარია იმაზე, რომ მხარეები ხელს შეუწყობენ თავიანთი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა რეგულარულ შეხვედრებს, ნინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე მათი ინფორმირებულობისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, იქმნება ევროკავშირი - საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს შეხვედრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ფორუმს და შედგება ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წევრების ჩათვლით და საქართველოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, “აღმოსავლეთ პარტნიორობის” სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელთა ჩათვლით. კომიტეტი შეიკრიბება მის მიერ განსაზღვრული ინტერვალების შესაბამისად. პლატფორმას მხარეები უხელმძღვანელებენ მონაცვლეობით.<sup>61</sup>

სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა ინფორმირებული იქნება ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას შეუძლია ასევე ასოცირების საბჭოსათვის რეკომენდაციების მიცემა. ასოცირების კომიტეტი და საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი უზრუნველყოფენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან რეგულარული კონტაქტების დამყარებას, რათა შეიტყონ მათი მოსაზრებები ნინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებას ხელი დასავლურმა ფონდებმა შეუწყვეს. ამდენად, საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაც მნიშ-

<sup>61</sup> <http://www.mfa.gov.ge/getattachment/evrekompluuli-dva-evrion-a-tbilisintiukurio-inbregvrafa/Association-Agreement/associrerebis Shesabeb Shetanbmegebis gchamkvalvebi.pdf.aspx> 2014 თებერვალი, ნანახია 10.05.2014.

ვნელოვანნილად ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება. აქვე, მოკლედ ვისაუბრებ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმაზე.

2009 წელს პრალის სამიტზე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტაქტების მხარდაჭერას და დიალოგის წარმართავს საჯარო ხელისუფლებასთან. ფორუმი ასევე ხელს უწყობს ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას პარტნიორ ქვეყნებს შორის გარდამავალი პერიოდის, რეფორმისა და მოდერნიზაციის სფეროში გადადგმულ ნაბიჯებზე. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მანდატია ზეგავლენა მოახდინოს ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეკომენდაციების მომზადების გზით.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქმიანობა მოიცავს აღმოსავლეთის პარტნიორობის ოთხ თემატურ პლატფორმას და ოთხ თემატურ ჯგუფს:

1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა;
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა;
3. გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგოუსაფრთხოება;
4. ხალხთაშორისი კავშირების წახალისება.<sup>62</sup>

<sup>62</sup> <http://eapnationalplatform.ge/index.php?a=main&pid=43&lang=geo>

**საქართველოს ეროვნული პლატფორმის  
საქმიანობა და მისი ურთიერთობა  
საქართველოს ხელისუფლებასთან**

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საქართველოს ეროვნული პლატ-ფორმა, რომლის ფუნქციაა:

1. აღმოსავლეთის პარტნიორობის თემატური პლატ-ფორმებისა და საფლავმანო ინიციატივების მიმდინარეობის ხელშეწყობა საქართველოში;

2. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე საქართვე-ლოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების წარდგენა და ფორუმის საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა თანამშრომ-ლობს: ა. საქართველოს მთავრობასთან; ბ. ევროკავშირის ადგილობრივ დელეგაციასთან; გ. ევროპის კომისიასთან; დ. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან საქართვე-ლოში; ე. აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი სხვა ქვეყნე-ბის პლატფორმებთან; ვ. სამოქალაქო საზოგადოების ფო-რუმის მონაწილე საერთაშორისო, ევროკავშირისა და მესამე ქვეყნების სამოქალაქო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; ზ. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველ კომი-ტეტებთან.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

1. ქმნის ოთხ სამუშაო ჯგუფს ოთხი თემატური პლატ-ფორმის შესაბამისად და ქვეჯგუფებს - საჭიროებისამებრ;

2. ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღ-ლებას აღმოსავლეთის პარტნიორობის შესახებ;

3. განიხილავს აღმოსავლეთის პარტნიორობის ოთხი თემატური პლატფორმისა და პარტნიორობის საფლავმანო ინიციატივების იმპლემენტაციას საქართველოში;

4. ევროპის კომისიას, საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს წარუდგენს განხილვის შედეგებს რეკომენდაციების სახით;

5. საკუთარი გადაწყვეტილებით ახორციელებს აღმო-სავლეთის პარტნიორობის მონიტორინგს;

6. საჯაროდ აქვეყნებს რეკომენდაციებს ან მონიტო-რინგის შედეგებს;

7. საკუთარი გადაწყვეტილებით ხელს უწყობს კვლევე-ბის განხორციელებას აღმოსავლეთის პარტნიორობის იმ-პლემენტაციის ხელშესაწყობად;

8. ხელს უწყობს სამოქალაქო საზოაგდოების ფორუმის რეკომენდაციების სწორ და ეფექტური განხორციელებას სა-ქართველოში;

9. შეიმუშავებს წინადაღებებს სამოქალაქო საზოგადო-ების ფორუმის მორიგი შეხვედრის დღის წესრიგის ჩამოსა-ყალიბებლად;

10. ირჩევს საქართველოს ეროვნულ კოორდინა-ტორს და მის კანდიდატურას წარუდგენს სამოქალაქო საზო-გადოების ფორუმს.<sup>63</sup>

მაგალითისთვის მოვიყვან საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც ეხება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვე-ვებსა და კოპაბიტაციას. იგი გაკეთდა ვილნიუსის სამიტამ-დე, 29 მარტს, რომელსაც 52 არასამთავრობო ორგანიზიაცია აწერს ხელს. განცხადებაში საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული ფორუმი მიესალმება საქართვე-ლოს ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის გზაზე გადად-გმულ ნაბიჯებს, რომლებიც ეხება წარმატებით მიმდინარე მოლაპარაკებებს ევრკოვაშირთან ასოცირების შესახებ შე-თანხმების, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მი-ღებასა და პარლამენტში მიღებულ რეზოლუციას საქართვე-

<sup>63</sup> <http://idfi.ge/fe/eap-georgia-civil-society-forum-georgian-national-platform> 5  
აგვისტო, 2014, ნანახია 10.05.2015 10

ლოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ეროვნული პლატფორმის წევრებისათვის პრობლემას წარმოადგენდა კოპაბიტაციის პერიოდში (პროცესში), როგორც მცდარი ინფორმაციის გავრცელება, ისე მისი არასწორი საზღვრების გარეთ გატანა, რასაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოებდინა ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივებზე, მათ შორის, ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცესზე.

ერთი მხრივ, ამის მკაფიო მაგალითი იყო ნაციონალური მოძრაობის მიერ ევროინტეგრაციის საკითხებით მანიპულირების ინიცირება ვიწრო პარტიული მიზნების მისაღწევად. ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის ღია დებატი ევროპის სახალხო პარტიასთან და მისი დანმდევი შეფასებები, რაც, თანდათანობით ცდებოდა კონსტრუქციულობის საზღვრებს. ევროინტეგრაციის გზაზე შემაფერხებელ ფაქტორებად შეიძლება ქცეულიყო არჩევნების შემდეგ კოპაბიტაციის რეჟიმის სირთულეები და საქართველოს საგარეო მისიების შეზღუდული ფუნქციონირება; არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდება მთელი რიგი ევროპული სტრუქტურებისათვის, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ქვეყანაში შექმნილი იყო მწვავე პოლიტიკური კრიზისი. პრობლემის უკეთ დასანახად, მოიყვანეს მაგალითად ის ფაქტი, რომ საქართველოს მედია სექტორში არსებული მრავალი პრობლემის ფონზე, ევროსაბჭოს რეზოლუციაში 1920/2013 აისახა არასწორი ინტერპრეტაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირებასთან მიმართებაში. ისინი წუხდნენ, რომ ევროსაბჭოს მხრიდან არ მოხდა ფაქტების გადამოწმება სამოქალაქო საზოგადოებასთან. მსგავსი არაბიექტური კრიტიკა ამცირებს მოქალაქეების ნდობას ევროპული ინსტიტუტების მიმართ. საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველა შტომ უზრუნველყოს ევროსტრუქტურებისა და ევროპულ პოლიტიკურ პარტიებთან

პირდაპირი და ინტენსიური კომუნიკაცია, ზუსტი და დეტალური ინფორმაციის მიწოდებით, რათა ხელი არ შეშლოდა ვილნიუსის სამიტზე საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების პროცესს. ამასთანავე, გამოთქვამდნენ მზადყოფნას, რათა პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის მიეწოდებინათ ობიექტური ინფორმაცია. მათი შეხედულებით აუცილებელი იყო ფართო საზოგადოებრივი დებატების გამართვა ევროინტეგრაციის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობდა ვილნიუსის საკითხთან მიმართებაში ადეკვატური მოლოდინების ჩამოყალიბებასა და ევროინტეგრაციის საკითხებით მანიპულირების შეწყვეტას შიდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. რადგან ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მკაფიოდ გამოხატული ნებაა და დემოკრატიის კურსს ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარებისათვის ალტერნატივა არ გააჩნია. აუცილებელია, პოლიტიკოსებმა გადადგან ყველა შესაძლო ნაბიჯი, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური რეალიზებისათვის.<sup>64</sup>

ამ განცხადების გათვალისწინებით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა, რომ სამოქალაქო სექტორი კარგად ორგანიზებული მუშაობისა და კვალიფიციურად მომზადებული რეკომენდაციების შემთხვევაში, შეძლებს ქვეყნის ევროინტეგრაციის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას.

### **ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულება ევროკავშირში განევრიანების პერსპექტივაა**

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ალტერნატივად მიიჩნევდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება არ გულისხმობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას,

<sup>64</sup> <http://idfi.ge/fe/eap-georgia-civil-society-forum-georgian-national-platform> 2013, ნანახია 25.05.2015

თუმცა, შეთანხმების განხორციელება მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ევროკავშირში გაწევრიანება მოითხოვს კანდიდატ ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველმყოფი ინსტიტუტების არსებობას, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვასა და პატივისცემას და ფუნქციონირებად მყარ საბაზრო ეკონომიკას. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნებს, ამ ეტაპზე საქართველო ვერ აკმაყოფილებს.

*Inga Mikhanashvili  
Ilia State University*

## **THE ASSOCIATION AGREEMENT AND INTEGRATION PROSPECTS OF GEORGIA IN EU**

